საქართველოს რესპუბლიკა

დაარსებულია 1918 წელს.

ხუთშაბათი, 26 ნოემბერი, 2015 წელი.

№222 (7867)

იმისთანა წმინდა საქმეში, რომელიც ბოჭდეული სიფცვაა, ფცუილებით და ჭირებით ბუნების გაფანა ყველა უკადრისობაზე უსაძაგლესია.

ელექტრონული ფოსტა: sakresp@mail.ru და sakresp@top.ge

ვებ გვერდი: www.sakresp.ge

ფასი 50 თეთრი.

ცოტ-ცოტა რამდენიმე პრობლემის შესახებ ⑦

გულიდან ამოხეთქილი

წყალი ნამდვილად ამღვრეულია!

შემოპარული მტერი ⑥

⑤ უმაღლესი განათლების კრიზისი საქართველოში

თაფლობის თვე დასრულდა! ⑧

ერდოღანი მოქმედებაზე გადავიდა

როგორი „მთავარი“ იქნება ირაკლი შოთაძე? ④

ბრძოლას ყოველთვის აქვს აზრი!

③ ვაკანსიების ზრდა მოსახლეობის დასაქმებაზე გავლენას არ ახდენს

მცირე ბიზნესის წამოწყება კვლავ და კვლავ რთულდება! ③

როგორ უნდა მოვიქცეთ ამ აბსურდის თეატრში? ②

ანუ რა პოზიციაზე უნდა დავდგეთ ჩვენ, საქართველო, როცა...

რასაც ჩვენს გაზეთში წაიკითხავ, სხვაგან ვერ ნახავ!..

პრეზიდენტმა ეროვნული დღე მიულოცა

საძართველოს პრეზიდენტი გიორგი მარგველაშვილი ბოსნია-ჰერცოგოვინის საპრეზიდენტო საბჭოს თავმჯდომარეს დრაგან ჩოვიჩს ქვეყნის ეროვნულ დღეს ულოცავს.

„თქვენო აღმატებულებავ, ჩემთვის დიდი პატივია, გულითადად მოგილოცოთ ბოსნია-ჰერცოგოვინის ეროვნული დღე.

ამ ღირსშესანიშნავ დღეს, მინდა ხაზგასმით აღვნიშნო, რომ საქართველო განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს ბოსნია-ჰერცოგოვინასთან მეგობრული და ურთიერთსასარგებლო ურთიერთობის განვითარებას. ვიმედოვნებ, რომ ჩვენს ქვეყნებს შორის არსებული თანამშრომლობა და მჭიდრო კავშირი კიდევ უფრო გაღრმავდება და გაძლიერდება ჩვენი ერების საკეთილდღეოდ.

თქვენო აღმატებულებავ, გთხოვთ, მიიღოთ ჩემი ღრმა პატივისცემა და საუკეთესო სურვილები ბოსნია-ჰერცოგოვინის მეგობარი ხალხის მშვიდობისა და კეთილდღეობისათვის“, — აღნიშნულია საქართველოს პრეზიდენტის ოფიციალურ წერილში.

თანამებრძოლებს უნდა გავუფრთხილდეთ!

საპარლამენტო უმრავლესობის წევრი ლუკა კურტანიძე თანაგუნდელ ზაქარია ქუცნაშვილს გაზეთში გამოქვეყნებული ინტერვიუს გამო აკრიტიკებს.

როგორც ლუკა კურტანიძემ განაცხადა, ზაქარია ქუცნაშვილი პრემიების კანონპროექტთან დაკავშირებით, რომელიც პარლამენტმა მეორე მოსმენაზე ჩააგდო, თანაგუნდელებს მასმედიით ესაუბრება და მათ „ავ-კარგიანობაზე“ ინტერვიუში საუბრობს. კურტანიძის განცხადებით, ქუცნაშვილის ინტერვიუ თანაგუნდელებისთვის დამამცირებელია.

„პარლამენტარს და ჩემს კოლეგას, რომელსაც უდიდეს პატივს ვცემ, შევახსენებ, რომ ჩვენ ყველანი ვართ ერთი გუნდი. ერთი სიცოცხლე დავდეთ ერისკაცის ლიდერობით სამშობლოს გადასარჩენად. ამიტომაც ვფიქრობთ, რომ ყველა მნიშვნელოვანი საკითხი შიგნით, გუნდში კომუნიკაციით, მსჯელობით და თუნდაც კამათით უნდა შევაჯეროთ და არა სააშკარაოზე გამოვიტანოთ. თქვენი ინტერვიუ არის შეურაცხმყოფელი და დამამცირებელი თითოეული თქვენი გუნდის წევრისთვის. ამავე დროს, ჩვენი გუნდის წევრების უმრავლესობა აღმასრულებელ თუ საკანონმდებლო ხელისუფლებაში, იდეის, სამშობლოს გადარჩენისა და უკეთესი მომავლისთვის გაერთიანდა და არა ხელფასის ან სხვა პრიორიტეტების გამო. ვეთანხმები, რომ ბევრი რამ მოსაწესრიგებელია ამ მხრივ, მაგრამ ეს შეიძლება რამდენიმე წლით ადრე გაგხსენებოდათ და არა ახლა რამდენიმე თვით ადრე, როდესაც არჩევნები წინ მოგვადგა“, — მიმართა ქუცნაშვილს კურტანიძემ.

კურტანიძე მოუწოდებს მის კოლეგას, რომ უკეთესი თანამებრძოლების ძებნას შეეშვას.

„ნუ ეძებთ უკეთეს თანამებრძოლებს, როგორც თქვენ ამ ინტერვიუში აღნიშნავთ, რადგან ამ გუნდმა მოგიყვანათ იქ, სადაც ხართ. ამ გუნდში ყველა თავის საქმის პროფესიონალია და ბრძოლის დროს, ყველანი უღალატონი არიან. ამ გუნდთან თქვენ არ გიმსჯელიათ, არ გიკამათიათ ამ ძალიან მნიშვნელოვან საკითხზე და ამის მიუხედავად, თქვენ სააშკაროზე, საზოგადოდ გამოიტანეთ ამა თუ იმ პარლამენტარის ავ-კარგიანობა, სააშკარაოზე გამოიტანეთ ამ ადამიანების განკითხვა მიუხედავად იმისა, რომ ეს ადამიანები გეთანხმებიან ამ საკითხზე. ამიტომ, მე მინდა უბრალოდ შეგახსენოთ, რომ შესაძლებელია, მე ვარ ძალიან მკაცრი, მაგრამ როდესაც საქმე ეხება თანამებრძოლების ღირსებას, შესაძლებელია უფრო მკაცრიც ვიყო. შეგახსენებთ ერთ ქართულ ანდაზას: დედის წინ მორბენალი კვიცი მგელმა შეჭამაო. ამიტომ ძალიან გთხოვთ, თითოეულ თანამებრძოლს გაუფრთხილდით და ყველა იმ ადამიანს, ვინც ეს ბრძოლა ღირსეულად მოიტანა“, — აღნიშნა კურტანიძემ.

ქვეყანაში, სადაც ქალის კულტი არსებობდა...

საძართველოში ქალთა მიმართ ძალადობის წინააღმდეგ მიმართული ორკვირიანი კამპანია დაიწყო. იგი გუშინ ჯანდაცვის სამინისტროს ეროვნულ სასწავლო ცენტრში გაიხსნა. ღონისძიებას ჯანდაცვის მინისტრის მოადგილე ვალერი კვარაცხელია, აშშ-ის ელჩი საქართველოში იან კელი და ადამიანთა ვაჭრობის მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის დირექტორი თამუნა ბარკალაია დაესწრნენ.

შეხვედრაზე კამპანიის ფარგლებში მომზადებული ვიდეორგოლი „არა ძალადობას“ აჩვენეს. ცენტრის ფოიეში მოეწყო სამხატვრო აკადემიის სტუდენტების ამ თემაზე შექმნილი ნამუშევრების გამოფენა. ასევე მოეწყო ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს მიერ დაფინანსებული სამწლიანი პროექტის პრეზენტაცია, რომლის მიზანიც საქართველოში ოჯახური ძალადობის ფაქტების შემცირებაა. ღონისძიების მონაწილეებს მინისტრის მოადგილემ ვალერი კვარაცხელიამ მიმართა.

„სიმართლე გითხრათ, ძალიან არ მახარებს, რომ ასეთი ღონისძიებების დაგეგმვა და განხორციელება გვიწვეს. ქვეყანაში, სადაც ქალის კულტი არსებობდა, უკვე ოჯახურ ძალადობაზე და ქალის წინააღმდეგ მიმართულ ძალადობებზე ვსაუბრობთ. თუმცა სტატისტიკა აჩვენებს, რომ ეს პრობლემა არსებობს, რეალურია, ამიტომ ამას ვერ დავმალავთ და ვერ დავიწყებთ იმაზე საუბარს, რომ ეს პრობლემა არ არის“, — აღნიშნა ვალერი კვარაცხელიამ.

შეხვედრის მონაწილეებს ასევე ამერიკის შეერთებული შტატების ელჩმა საქართველოში იან კელიმ მიმართა. მისი თქმით, ძალადობის მსხვერპლი მსოფლიოში არაერთი ქალია, ამ ეპიდემიამ არც საქართველოს არ აუარა გვერდი. ელჩის თქმით, საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სტატისტიკა მეტყველებს, რომ ბოლო წლებში მეუღლეების მიერ ქალებზე ძალადობის ფაქტები მატულობს. იან კელის თქმით, მეუღლის მიერ ქალზე ძალადობის ფაქტი ოჯახის საქმედ აღიქმება, რის გამოც მთელი რიგი ინციდენტები საზოგადოების მიერ არ განიხილება. არაერთი კვლევა მეტყველებს, რომ მეუღლეებს შორის პრობლემები ოჯახის ფარგლებს გარეთ არ უნდა იყოს განხილული, თუმცა ბოლო წლებში მასმედიის მეშვეობით ხდება საზოგადოებაში ამ დამოკიდებულებების შეცვლა.

ამერიკის საერთაშორისო განვითარების სააგენტოს სამწლიანი პროექტი დაეხმარება საქართველოს რეფერალური სისტემის დახვეწაში და სპეციალისტების გადამზადებაში.

მომავალი თაობა გამოასწორებს...

სამშვიდობო ინიციატივათა პროგრამის ფარგლებში „საქართველოს ახალგაზრდული ფორუმი 2015“ ჩატარდა. აფხაზეთის ა/რ მთავრობის ინფორმაციით, ფორუმში 100-მდე ბავშვი მონაწილეობდა, მათ შორის იყვნენ აფხაზი და ოსი ბავშვებიც.

ფორუმის მუშაობაში ასევე ჩართულნი იყვნენ შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ახალგაზრდები.

ღონისძიების ორგანიზატორები არიან საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა სამინისტრო და აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობა. ფორუმის მიზანია ახალგაზრდობის ჩართულობის გაძლიერება და დევნილი ახალგაზრდების სოციალური ინტეგრაციის გაზრდა, ახალგაზრდების მონაწილეობა დემოკრატიული საზოგადოების მშენებლობის პროცესში.

ფორუმს ესწრებოდნენ აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელი ვახტანგ ყოლბაია, აფხაზეთის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე გია გვაზავა, საქართველოს პარლამენტის წევრი გიორგი ვოლსკი, საქართველოს სახალხო დამცველის პირველი მოადგილე პაატა ბელთაძე და აფხაზეთის მთავრობისა და უმაღლესი საბჭოს წევრები.

„დღევანდელი ფორუმი საკმაოდ წარმომადგენლობითია, მასში საქართველოს ყველა რეგიონის ახალგაზრდობის წარმომადგენლები მონაწილეობდნენ. ახალგაზრდობა, მუდამ იყო და იქნება საზოგადოების მთავარი მამოძრავებელი ძალა. საქართველოში მიმდინარე პროცესებში შესამჩნევია ახალგაზრდების აქტიურობა, მათი აზრის გათვალისწინების ტენდენცია, რაც მნიშვნელოვანი ფაქტორია. ბუნებრივია, აუცილებელია მათი ერთგვარი მონაწილეობა საქართველოს კონფლიქტების მოწესრიგების სფეროშიც. მათ ხომ ტვირთად არ აწევთ ის შეცდომები და ცოდვები, რომლითაც აფხაზები, ოსები და ქართველები თავს ვერ მოვიწონებთ. მწამს, რომ ჩვენი თაობის მიერ დაშვებულ შეცდომებს მომავალი თაობა სხვაგვარად მიუდგება, სხვა გამოსავალს მონახავს გამოუვალი სიტუაციებიდან.

მინდა ამ ახალგაზრდებს ვუსურვო წარმატებები და ვურჩიო, რომ უფრო ახლო ურთიერთობა იქონიონ აფხაზ თანატოლებთან — იმათთან ვინც, ენგურს გაღმა დაგვრჩნენ. ჩვენ ხომ ერთად უნდა ავაშენოთ ერთიანი ქართული სახელმწიფო“. —განაცხადა ვახტანგ ყოლბაიამ.

◎ ...საკითხავი აი, ეს არის

როგორ უნდა მოვიქცეთ ამ აბსურდის თეატრში?

ანუ რა პოზიციაზე უნდა დავდგეთ ჩვენ, საქართველო, როცა...

„თქვენ რას ფიქრობთ, ამ აბსურდის თეატრში როგორ უნდა მოვიქცეთ?“ — ამ შეკითხვით ავრცელებს სოციალურ ქსელში განცხადებას პუბლიცისტი და ჟურნალისტი გიორგი უძილაური, რომელსაც უცვლელად გთავაზობთ:

„ISIS-ის წინააღმდეგ ერთად იბრძვიან ჩვენი სტრატეგიული მოკავშირე აშშ და ჩვენი ოკუპანტი რუსეთი. თურქეთი თან ჩვენი სტრატეგიული მოკავშირეა და თან NATO-ს წევრი, იგი თან ISIS-ს ებრძვის და თან ISIS-ის რიგები თურქეთის საზღვრებიდან იზრდება. თან თურქეთს არ აწყობს ასადის გამარჯვება. სამაგიეროდ ასადის გამარჯვება აწყობს რუსეთს, რომელიც ბომბავს ISIS-საც და სხვა რაზმებსაც, და რადგან თურქეთს არ აწყობს ასადის გამარჯვება, თურქეთს არ მოსწონს რუსეთის აქტიურობაც, რის შედეგადაც თურქეთმა ჩამოაგდო რუსული თვითმფრინავი, რომელიც ებრძოდა ISIS-ს. ტერორისტებს ებრძვიან ქურთი სეპარატისტებიც, რომლებსაც არ მოსწონთ არც ასადი და არც თურქეთი. ქურთებს იარაღით და ტრეინინგებით მხარს უჭერს NATO, მაგრამ არა NATO-ს წევრი თურქეთი, რომელსაც ეშინია, რომ ქურთების გაძლიერება დაშლის თურქეთს. ამიტომაც თურქეთი ბომბავს ქურთებს, რომლებიც ებრძვიან ტერორისტებს. ტერორისტებს NATO-სთან ერთად ებრძვის ირანიც, რომელიც აშშ-ის მტრად ითვლება, მაგრამ ახლა ისინი მოკავშირეები არიან. ასევე აშშ-ის და რუსეთის მოკავშირედ გამოდის ლიბანური ტერორისტული ორგანიზაცია „ჰესბოლა“, რომელიც შიიტურია და ეშინია ISIS-ის.

ISIS თუ საფრთხეა, მაშინ რუსეთი, როგორც მეორე საფრთხე, ამ შემთხვევაში მოკავშირეა, მაგრამ ამავე ვითარებაში, თურქეთი, როგორც რუსეთთან დაპირისპირებული, ჩვენი მოწინააღმდეგე გამოდის, მაგრამ თურქეთი NATO-ს წევრია, ამიტომაც მაინც მოკავშირეა, მაგრამ ეს მოკავშირე ბომბავს ქურთებს, რომლებსაც იარაღით ამარაგებს მეორე ჩვენი მოკავშირე აშშ, რომელიც „ჰესბოლას“ მიიჩნევს ტერორისტულ ორგანიზაციას, თუმცა „ჰესბოლა“ ეომება ჩვენთვის მიუღებელ ISIS-ს, ისევე როგორც აშშ, ანუ აშშ და „ჰესბოლა“ ჩვენი მოკავშირეები გამოდიან, ისევე როგორც ირანი, რომელიც მართალია, აშშ-სთან ვერაა კარგად, მაგრამ კარგად ებრძვის ISIS-ს, თუმცა, სურს ასადის შენარჩუნება, რაც არ სურს აშშ-ს, ისევე როგორც თურქეთს, ანუ თურქეთიც და ირანიც ჩვენი მოკავშირეებია, მაგრამ ირანი მეგობრობს რუსეთთან და ამიტომ რუსეთიც ჩვენი მოკავშირე გამოდის, მაგრამ რუსეთი თურქეთთანაა დაპირისპირებული, თურქეთი კი ჩვენი მოკავშირეა, ანუ რუსეთი მაინც ჩვენი მტერი გამოდის. თუ რუსეთი ჩვენი მტერია, მაშინ ISIS გამოდის ჩვენი მეგობარი?

მოკლედ, თქვენ რას ფიქრობთ, ამ აბსურდის თეატრში როგორ უნდა მოვიქცეთ?“

ირაკლი ღარიბაშვილი – უკვე 123 პროექტი გვაქვს დაფინანსებული

საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი ღარიბაშვილმა თბილისში მაღალტექნოლოგიური ფარმაცევტული საწარმო Ynnovas-ი გახსნა.

საწარმო „თიბისი ბანკმა“ სახელმწიფო პროგრამის „აწარმოე საქართველოში“ ფარგლებში 2 მილიონი აშშ დოლარით დააფინანსა. ქარხანა პირველია ბაზარზე, რომელიც ქართული ფლორის სამკურნალო პოტენციალს გამოიყენებს და ფარმაცევტული პროდუქციის მოპოვებას, გადამუშავებას, წარმოებას და ექსპორტს განახორციელებს. კერძოდ, წარმოებაში 40-მდე სახეობის მცენარის გადამუშავებით მიიღებენ 60-მდე სახის აქტიურ სუბსტანციას, რომელიც ფართოდ გამოიყენება ფარმაციაში, პარფიურმერიაში, ჰიგიენური საშუალებების წარმოებაში.

„როგორც იცით, ჩვენ გასულ წელს დავიწყეთ პროგრამა „აწარმოე საქართველოში“, რომელიც წარმატებით გრძელდება. დღეის მდგომარეობით, ჩვენ უკვე 123 პროექტი გვაქვს დაფინანსებული. ჯამში ეს არის ქართული წარმოების განვითარებაში ჩადებული დაახლოებით 350 მილიონი ლარის ინვესტიცია“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

რაც შეეხება უშუალოდ ახალ საწარმოს, ირაკლი ღარიბაშვილის ინფორმაციით, Ynnovas-ის გახსნა სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის თვალსაჩინო მაგალითია.

„ეს არის თვალსაჩინო მაგალითი სახელმწიფოსა და კერძო სექტორს შორის თანამშრომლობის. აღნიშნული საწარმო 100 %-ით გადაამუშავებს ქართულ ნედლეულს, რაც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. ასევე ის სეზონურად დაასაქმებს ათასიდან 2 ათასამდე ადამიანს.

აღნიშნული პროექტის განხორციელება შარშან დაიწყო, ეს კომპანია კი ერთ-ერთი პირველია, რომელიც „აწარმოე საქართველოში“ ჩაერთო. დღეს ჩვენ თანამედროვე საწარმოს სახით ვხედავთ კონკრეტულ შედეგს. მინდა ეს ყველას და განსაკუთრებით კომპანიის ხელმძღვანელობას და იმ დამფუძნებლებს მივულოცო, რომლებიც დაბრუნდნენ საქართველოში და აქ, ადგილზე დაიწყეს ბიზნესის კეთება. ეს ჩემთვის, როგორც რიგითი მოქალაქისთვის, ძალიან მნიშვნელოვანი და იმედის მომცემია“, – აღნიშნა ირაკლი ღარიბაშვილმა.

შეხვედრის მიზანი საინვესტიციო პროექტების განხორციელებაა

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი კომპანია GE Power-ის ვიცე-პრეზიდენტს რიკარდო კორდობას შეხვდა.

შეხვედრის მთავარი თემები საქართველოში ახალი საინვესტიციო პროექტების განხორციელება და ენერგეტიკის სფეროში თანამშრომლობის გაღრმავება იყო.

მხარეებმა ქვეყანაში არსებულ ხელსაყრელ ბიზნეს-გარემოზე, განხორციელებულ და დაგეგმილ საინვესტიციო პროექტებზე ისაუბრეს.

პრემიერ-მინისტრთან შეხვედრას თურქეთის ერთ-ერთი უმსხვილესი „ჩალიკ ჰოლდინგის“ თავმჯდომარე აჰმეტ ჩალიკი დაესწრო.

„ჩალიკ ჰოლდინგმა“ საქართველოს საპარტნიორო ფონდთან ერთად, გარდაბნის ულტრათანამედროვე, კომბინირებული ციკლის ელექტროსადგურის მშენებლობის პროექტი წარმატებით განახორციელა, რომლის საინვესტიციო ღირებულებამ 230 მილიონი დოლარი შეადგინა.

◎ ვინ მუშაობს, ვინ არა?

ვაკანსიების ზრდა მოსახლეობის დასაქმებაზე გავლენას არ ახდენს

დასაქმების სააგენტოების ნაწილი ოქტომბერ-ნოემბერში ვაკანსიების შემცირების ტენდენციაზე საუბრობს. მოსახლეობა კი სამსახურის ძებნაზეა გადაგებული. ოფიციალური სტატისტიკა და მთავრობა ვითარების გაუმჯობესებაზე საუბრობენ, თუმცა მათ მტკიცებას დამაჯერებლობა აკლია.

Hr.com.ge-ს ინფორმაციით, სექტემბერთან შედარებით ვაკანსიების რაოდენობა 10%-ით არის შემცირებული, თუმცა წლის ბოლოს ყოველთვის კლების ტენდენციაა. დეკემბერში ვაკანსიები კიდევ 10%-ით შემცირდება. იანვრიდან კი კომპანიები გააქტიურდებიან.

Hr.com.ge-ს წარმომადგენელი ინგა შახბაზიანი ამბობს, რომ ყველაზე მოთხოვნადი გაყიდვები, კლიენტთა მომსახურება, ფინანსები და სამედიცინო სფეროს წარმომადგენლები არიან. ამ დროისთვის Hr.com.ge-ზე 1500-მდე აქტიური ვაკანსიაა.

ვაკანსიების შემცირება, თუნდაც დროებით, დიდ პრობლემას უქმნის ქვეყნის მოსახლეობას. რამდენადაც საქართველოში მცხოვრები ადამიანების აბსოლუტური უმრავლესობა თავს დაუსაქმებლად მიიჩნევს, მათ ანაზღაურებადი სამუშაოს პოვნის შანსი უმცირდებათ.

უმუშევრობის პრობლემა განსაკუთრებით საგრძნობია რეგიონებში, სადაც გრძელვადიანი სამსახურის პოვნის შესაძლებლობა ნაკლებად არის. აქ ძირითადი დამსაქმებლები საბიუჯეტო ორგანიზაციები და მეწარმეები არიან.

უმუშევრობის შემცირებისა და დასაქმების ხელშეწყობისთვის, შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროსა და სოციალური მომსახურების სააგენტოს მხარდაჭერით, მიმდინარე წლის ზაფხულში ქუთაისში დასაქმების ფორუმი ჩატარდა, რომელშიც 70-მა კერძო კომპანიამ და 6-მა პროფესიულმა სასწავლებელმა მიიღო მონაწილეობა და რეგისტრაცია 1300-ზე მეტმა მოქალაქემ გაიარა. როგორც დამსაქმებლები აცხადებდნენ, ჰქონდათ რეალური ვაკანსიები და ეძებდნენ გამოცდილ კადრებს.

დასაქმების დეპარტამენტის წარმომადგენელთა განცხადებით, ფორუმის შემდეგ 100-მდე ადამიანი დასაქმდა ქუთაისსა და იმერეთის რამდენიმე მუნიციპალიტეტში და ეს კარგი შედეგია, თუმცა თავად მოქალაქეები სხვა აზრის არიან. ისინი ამბობენ, რომ საკუთარი პროფესიით სურთ მუშაობა, რისი საშუალებაც ქალაქში არ არის.

დასაქმების მხრივ პრობლემას აღიარებენ მთავრობაშიც, მაგრამ იქვე მიუთითებენ, რომ მის გადაჭრაზე აქტიურად მუშაობენ. **„დასაქმება ეს არის ერთ-ერთი მთავარი პრობლემა ჩვენი ხელისუფლებისთვის. დავდივარ რეგიონებში და ვიცი, რა უჭირს ჩვენს ხალხს. უნდა ჩამოვაყალიბოთ გარემო, სადაც მეტი საწარმოები შეიქმნება. ჩვენ კარგად გვესმის, რომ დასაქმების შესაძლებლობების გაზრდისთვის მნიშვნელოვანია სახელმწიფოს მხრიდან ბიზნესსექტორის ხელშეწყობა. სწორედ ბიზნესს, ბიზნესსექტორის განვითარებას შეუძლია ახალი სამუშაო ადგილების შექმნა და ხალხის დასაქმება. ამიტომ, ჩვენი მთავრობა მაქსიმალურად ხელს უწყობს ჯანსაღი, თავისუფალი და კონკურენტული ბიზნესგარემოს ჩამოყალიბებას“,** – აცხადებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი ღარიბაშვილი.

„ჩვენ წამოვიწყეთ არაერთი სახელმწიფო პროგრამა, რომლებიც ემსახურება ბიზნესის ხელშეწყობას და ქვეყანაში ეკონომიკის გაჯანსაღებას. მთავრობისა და საფინანსო ინსტიტუტების მჭიდრო თანამშრომლობით შევძელით მეწარმეების ხელშეწყობა, ახალი საწარმოების შექმნა და არსებულის განვითარება, რამაც შედეგად მოიტანა მოქალაქეების დასაქმება.

აი, ეს გახლავთ ის ნაბიჯები, რომლებითაც ჩვენ ვცდილობთ, დავძლიოთ დასაქმების პრობლემა“, – აღნიშნავს პრემიერი.

საქართველოს სტატისტიკის ეროვნული სამსახურის მონაცემებით, ქვეყნის მასშტაბით უმუშევრობის დონემ ბოლო 11 წლის განმავლობაში ყველაზე დაბალ ნიშნულს ჯერ კიდევ გასულ წელს მიაღწია და 12,4% შეადგინა, რაც, 2013 წლის მონაცემებთან შედარებით, 2,2%-ით ნაკლებია. არც სპეციალისტებს და არც მოსახლეობას ოფიციალური მონაცემების არ სჯერა. არჩევნებიდან არჩევნებამდე დასაქმება ერთ-ერთ მთავარ პრობლემად რჩება.

ბექა დანელია

SIC!

მცირე ბიზნესის წამოწყება კვლავ და კვლავ რთულდება!

განვითარებული ქვეყნების მშპ-ს უდიდეს ნაწილს მცირე და საშუალო ბიზნესი ქმნის, საქართველოში კი ელემენტარული საქმიანობის წამოწყებაც დიდ სირთულეებთან არის დაკავშირებული. მცირე ბიზნესისთვის არ არსებობს შეღავათი, ხელმისაწვდომი სესხი, შესაფერისი კანონმდებლობა და სახელმწიფოს მხარდაჭერა.

ქვეყანაში უმეტესწილად იზრდება ისეთი საწარმოების წილი, რომლებშიც უცხოური კაპიტალი მონაწილეობს. სხვა შემთხვევაში, მცირე მეწარმეები თავს იკავებენ ბიზნესის დაწყებისგან. საქართველოში არასაკმარისადაა განვითარებული მცირე და საშუალო ბიზნესის საწარმოების მდგომარეობის შესახებ სტატისტიკური, ეკონომიკური და სოციოლოგიური ინფორმაციის სისტემაც.

გამოკითხული ადამიანების უმეტესობა დღესდღეობით ბიზნესის დაწყებას ვერ რისკავს. მიზეზი არასტაბილური გარემოა.

წარმოების გამართვა მის სრულფასოვნად დაგეგმვასა და რეალიზებაში მდგომარეობს, თუმცა მთავარი პრობლემა მაინც დამფინანსებლებია. მათი მოძებნა დამწყებ ბიზნესმენებს საკუთარი სახსრებით უწევთ. არადა, წესით და რიგით, მცირე და საშუალო ბიზნესს, ძირითადად, ბანკების იმედი უნდა ჰქონდეთ, რადგან საჭირო დროს ფინანსური რესურსის დროულად მიღება ბიზნესის განვითარებისთვის გადამწყვეტია. ჩვენი ბანკები კი სწორედ ამ კომპონენტში სცოდავენ.

„ჩვენი მეწარმეების, განსაკუთრებით მცირე და მიკრო, აგრეთვე სოფლად მცხოვრები და მოქმედი ფერმერებისთვის კვალიფიციური ბიზნესგეგმის შედგენა და ამით ფინანსების მოძიება საკმაოდ რთულ პროცესებთან არის დაკავშირებული. ამ გარემოების მიუხედავად, ბანკების საკრედიტო პოლიტიკას მაინც ვერ გავამართლებ. ფაქტია, რომ ბანკებს სოციალური პასუხისმგებლობის ძალიან დაბალი დონე გააჩნიათ და ქვეყნის ეკონომიკის შესაძლებლობებს არად დაგიდევენ.

რატომღაც საქართველოში სოციალური პასუხისმგებლობა მხოლოდ დიდი ორგანიზაციების მიერ თანამშრომლებზე ზრუნვასთან და განსაკუთრებულ სიტუაციებში (მაგალითად, სტიქიური უბედურების დროს) მიზერული თანხის გადარიცხვასთან არის დაკავშირებული. ბანკები რომ უფრო მეტად რისკიანები იყვნენ მცირე და საშუალო ბიზნესის დაკრედიტების დროს და მათი საპროცენტო განაკვეთებიც შედარებით ლიბერალური და ხელმისაწვდომი იყოს, ეს უფრო იქნებოდა იმათი სოციალური პასუხისმგებლობის რეალური მაჩვენებელი“, – აცხადებს ახალგაზრდა ფინანსისტთა და ბიზნესმენთა ასოციაციის ვიცე-პრეზიდენტი შოთა გულბანი.

მისი თქმით, დამწყები ბიზნესის დაფინანსება ბანკის მხრიდან თითქმის წარმოუდგენელი საკითხია. სამწუხაროდ, აქ სახელმწიფოს როლი ძალიან სუსტია.

„ერთი მხრივ, მთავრობა გარკვეული სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში საბანკო პროცენტის სუბსიდირებას ახდენს, თუმცა იმ კომპონენტში, როცა საქმე ბანკის მიერ ბიზნესზე სესხის გაცემას ეხება, სახელმწიფო უძლურია. ეს მომავალში აუცილებლად შესაცვლელია. მთავრობამ და ეროვნულმა ბანკმა, კანონმდებლობის დონეზე უნდა დაარეგულირონ კომერციული ბანკების საკრედიტო პოლიტიკა, სადაც, როგორც მსესხებლების, ისე სახელმწიფო ინტერესები იქნება გათვალისწინებული“, – ამბობს გულბანი.

მათ, ვინც უახლოეს მომავალში ბიზნესის დაწყებას აპირებს, სპეციალისტები დაკვირვებისკენ მოუწოდებენ. ისინი თვლიან, რომ ფინანსური ნიადაგი მცირე და საშუალო ბიზნესისთვის არც ისე მყარია და ნებისმიერი რთული სიტუაციისთვის მზად უნდა იყვნენ.

„მცირე და საშუალო ბიზნესის დაწყება სოციალური ფენების გაუმჯობესების მთავარი იარაღია. დღეს ვინც ბიზნესის წამოწყებას აპირებს, პირველ რიგში, წარმატებას ვუსურვებ. დღეს ალბათობა იმისა, რომ ახალი საქმე შედგეს, არის მცირე, განსაკუთრებით, რეგიონებში.

ნებისმიერ წამოწყებულ საქმეს სჭირდება დაკვირვება და გათვლა. მცირე ბიზნესის გასამართად აუცილებელია ბანკების თანადგომა, მაგრამ დოლარის გამყარების შემდეგ, კრედიტის დაფარვაც უჭირს ხალხს. სახელმწიფოს როლს რაც შეეხება, ამ მხრივ მხარდაჭერა არ იგრძნობა“, – აცხადებს ექსპერტი ნოდარ კაპანაძე.

ბექა დანელია

როგორი „მთავარი“ იქნება ირაკლი შოთაძე?

„საზოგადოებას პასუხები სჭირდება – ეს ყველაფერი სისტემური დანაშაული იყო თუ პათოლოგების მიერ ჩადენილი?!“

საძართველოს მთავარი ბრალმდებლის სტატუსის მოპოვებისთვის ირაკლი შოთაძეს გასავლელი ბოლო ეტაპი დარჩა – პარლამენტი, რომელიც მიმდინარე სასესიო კვირას მთავარი პროკურორობის კანდიდატზე იმსჯელებს. დეპუტატები მთავარი პროკურორის თანამდებობაზე შოთაძეს ხმას ფარული კენჭისყრით მისცემენ, შესაბამისად, მხარდამჭერთა და მოწინააღმდეგეთა სია უცნობი დარჩება, მაგრამ მმართველი გუნდის ნაწილი საკუთარ განწყობებს უკვე ასაჯაროვებს, მეორე ნაწილი კი კრიტიკულ კითხვებს ამზადებს.

უმრავლესობის მსგავსად, შოთაძესთან შესახვედრად „თავისუფალი დემოკრატები“ და „ნაციონალური მოძრაობაც“ ემზადება.

როგორც ირაკლი ალასანიას გუნდის წევრმა, დეპუტატმა ვიქტორ დოლიძემ განაცხადა, „თავისუფალი დემოკრატები“ შოთაძეს მხარს არ დაუჭერენ, რადგან შოთაძე ხელისუფლების ხელში პოლიტიკური ბრძოლის იარაღია.

„პრობლემა პიროვნებებში კი არა, სისტემაშია. სამწუხაროდ, ქვეყნის დამოუკიდებლობის შემდეგ, მანკიერი პრაქტიკა ვერ დავასრულეთ, როცა პროკურატურა ხელისუფლების ინტერესებს ემსახურება. უწყების დეპოლიტიზაცია არ მომხდარა და გაურკვეველია, რეფორმის გატარებას რა კუთხით აპირებენ. ე.წ. კაბელების საქმის გარდა, ე.წ. სამართლიანობის აღდგენაზე კითხვები გვაქვს და პასუხები მისგან გვაინტერესებს“, – აცხადებს დოლიძე, რომლის მსგავსად, შოთაძის მიმართ კითხვები აქვს ვიცე-სპიკერ გიორგი ბარამიძეს, რომელიც აცხადებს, რომ შოთაძე ყოფილი პრემიერის ბიძინა ივანიშვილის ყურმოჭრილი მონა იქნება.

დეპუტატის შეფასებით, შოთაძე პოლიტიკური ოპონენტების მიმართ დევნისა და შერჩევითი სამართლის პოლიტიკის გამტარებელიც იქნება.

„უამრავი საქმე გამოსაძიებელია. მათ შორის, ისეთი ტიპის მკვლელობები, რაზეც დიდი სკანდალი იყო. იმ გახმაურებულ საქმეებზე აღარ ვლაპარაკობ, რომელიც სპეკულირების საგანი არაერთხელ გამხდარა. „ქართული ოცნება“ ხელისუფლებაში ცრუ დაპირებების გარდა, ამ საქმეებზე საუბრითაც მოვიდა. ეს საქმეები დღემდე გამოუძიებელია. ეს მხოლოდ იმიტომ ხდება, რომ მათ იციან, ეს საქმეები ცილისწამებაზე დაფუძნებული იყო. მათ არ აწყობთ, რომ ეს ყველაფერი გამჟღავნდეს. დაწყებული სვანეთის ოპერაციით, დასრულებული ბავშვის ქვევრში დახრჩობით“, – აცხადებს ბარამიძე, რომელიც ე.წ. აფრასიძეების საქმეზე კვლავ დაუკითხავია.

ბარამიძე ამბობს, რომ ის შოთაძეს კითხვებს ვერ დაუსვამს, რადგან ნატოს საპარლამენტო ასამბლეის კომიტეტზე მიემგზავრება.

„ჩემს თანაგუნდელებს ძალიან მწვავე საუბარი ექნება იმ ადამიანთან, რომელიც ვერც ერთ კრიტერიუმს ვერ შეესაბამება. ეს ადამიანი უსიტყვოდ და უნამუსოდ ივანიშვილის დაკვეთებს ასრულებს და კანონს არღვევს“, – დასძენს ბარამიძე.

მომავალი მთავარი პროკურორის მიმართ კითხვები აქვს ფრაქცია „ქართული ოცნების“ თავმჯდომარეს გია ვოლსკის, რომლის კითხვებიც გამოუძიებელ საქმეებსა და უკანონოდ ჩამორთმეულ ქონებაზე შექმნილი დეპარტამენტის საქმიანობას ეხება. როგორც for.ge-ს ვოლსკიმ განუცხადა, სტატისტიკა იმაზე მეტყველებს, რომ ბადაშვილისა და შოთაძის ხელმძღვანელობით პროკურატურა საკმაოდ ეფექტურად მუშაობდა და მათ დიდი რაოდენობის საქმეები გახსნეს.

„დიდი უკმაყოფილების გრძნობა მაქვს იმის გამო, რომ ხშირად, ჩვენი ოპონენტები გახმაურებულ საქმეებთან დაკავშირებით, უფრო მეტი აქტიურობის აუცილებლობას გვახსენებენ და თხოულობენ, რომ ისინი დაკითხულები იყვნენ. ასევე ოპონენტები იმას ითხოვენ, რომ პოლიტიკოსები იმ დანაშაულებისგან გამიჯნული იყვნენ, რაც მათი მოსაზრებით, ზოგიერთმა პათოლოგმა ჩაიდინა. საზოგადოებას პასუხები სჭირდება – ეს ყველაფერი სისტემური დანაშაული იყო, თუ პათოლოგების მიერ ჩადენილი. ასევე ვფიქრობ, რომ ეს პატარა დეპარტამენტი წართმეული ქონების საკითხებს თავს ვერ გაართმევს და მათი რესურსის გაზრდაა საჭირო. ამ საკითხმა პროგრესი უნდა განიცადოს. შოთაძე კარგი ორგანიზატორია, კარგი ხედვები აქვს, რის გამოც მხარი უნდა დავუჭიროთ“, – დასძენს ვოლსკი, რომლის მსგავსად, შოთაძის მხარდაჭერას აპირებს ვიცე-სპიკერი ზვიად ძიძიგური.

ზვიად ძიძიგური აღნიშნავს, რომ ბადაშვილისა და შოთაძის პირობებში პროკურატურის საქმიანობა გართულებული იყო, რადგან საakაშვილის პროკურატურა სასამართლოს რასაც ეტყოდა, იმას აფორმებდა. დეპუტატის თქმით, 2012 წლის შემდეგ, მტკიცებულებებისა და სამხილების მოგროვების აუცილებლობა გაჩნდა.

„პროკურატურის წინაშე ის ამოცანები დადგა, რაც მანამდე არ იდგა. ოპერატიულობასთან დაკავშირებით პრეტენზიები გვქონდა და ამ ყველაფერს ის საფუძველი არ ჰქონდა, რომ შოთაძეს ან ბადაშვილს მუშაობა ეზარებოდათ. პროკურორი კარგი შემსრულებელი უნდა იყოს, აბა, ის ფანტაზიორი უნდა იყოს? – მას სახელმძღვანელოდ კანონი აქვს, რომლის ფუნქცია შემოსაზღვრილია სახელმწიფო ბრალმდებლის ფუნქციით. როგორც წესი, პროკურორების მიმართ სიმპათიები არ გამოითქმება, რადგან ის ადამიანს ბრალს სდებს. ადვოკატი დამცველის ფუნქციებიდან გამოდის, პროკურორი – ბრალმდებლის. ამიტომ, სიმპათიებზე ნუ ვისაუბრებთ“, – აცხადებს ძიძიგური, რომლის მსგავსად, შოთაძის კვალიფიკაციაზე აქცენტს აკეთებს საპროცედურო საკითხთა კომიტეტის თავმჯდომარე გიორგი კახიანი.

კახიანი მიიჩნევს, რომ შოთაძემ საკუთარი თავი წარმოაჩინა როგორც კომპეტენტურმა და თავისი საქმის პროფესიონალმა ადამიანმა.

„მის მხარდაჭერას ვაპირებ. დარწმუნებული ვარ, რომ ის პროკურორის პოსტს დაიკავებს, თუმცა, ეს იმას არ ნიშნავს, რომ მის მიმართ კითხვები არ არსებობს. კითხვა იმ საქმეებს ეხება, რომელიც იმ დეპარტამენტს აქვს გადაცემული, რომელიც წართმეული ქონების საკითხებზე შეიქმნა. ამ დეპარტამენტის საქმიანობის თაობაზე როგორც დეპუტატს სრული ინფორმაცია არ მაქვს“, – განაცხადა კახიანმა.

პარლამენტში ირაკლი შოთაძის მოსმენის შემდეგ, სავალდებულო დასკვნას იურიდიულ საკითხთა კომიტეტი მოამზადებს, კანდიდატს კი, ფრაქციები ცალ-ცალკე მოუსმენენ, რის შემდეგაც, დეპუტატები მთავარ პროკურორს პლენარულ სხდომაზე აირჩევენ.

თეონა მანაგაძე

მინისტრის აზრი

ირაკლი შოთაძე იქნება ბევრად უკეთესი პროკურორი, ვიდრე ამჟამინდელი

იუსტიციის მინისტრი თეა წულუკიანი მიიჩნევს, რომ თუკი პარლამენტი ირაკლი შოთაძის კანდიდატურას მთავარი პროკურორის პოსტზე დაამტკიცებს, ის იქნება ბევრად უკეთესი პროკურორი ვიდრე – ამჟამინდელი. „საპროკურორო საბჭოს სამი კანდიდატი მე წარვუდგინე. გასაუბრების შედეგად რომელთა აუდიოჩანაწერები არის საჯაროდ გამოქვეყნებული, აღმოჩნდა, რომ 13 ხმა მიიღო ირაკლი შოთაძემ. მე მჯერა, რომ ირაკლი შოთაძე მომდევნო ექვსი წლის განმავლობაში, თუკი მას პარლამენტი აირჩევს, იქნება ბევრად უკეთესი, ვიდრე არის თუნდაც ამჟამინდელი მთავარი პროკურორი. ის იქნება ყველა იმ მთავარ პროკურორზე უკეთესი, რომელიც კი აქამდე გვყოლია.

მას ექნება იმის ღრმა რწმენა, რომ სამართლებრივი რეფორმების გარეშე არ არსებობს დემოკრატიული საქართველო და ამ რეფორმებში ჩვენ, იუსტიციის სამინისტრომ და ყველა სამართალდამცავმა ორგანომ უნდა ვიაროთ ხელისხელ ჩაკიდებული“, – განაცხადა თეა წულუკიანმა.

თანამშრომლობა

საქართველომ პროგრესს მიაღწია,

ასე მიიჩნევს ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრი

მეგობარი ლატვია კვლავაც მტკიცე მხარდაჭერას უცხადებს საქართველოს ევროკავშირსა და ნატოსთან დაახლოების პროცესში, იმედით უყურებს უვიზო მიმოსვლის პერსპექტივას საქართველოს მოქალაქეებისთვის და ურჩევს საქართველოს, გააგრძელოს რეფორმები დემოკრატიული განვითარების გზაზე, – ამ შინაარსის განცხადებები გააკეთა ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრმა 24 ნოემბერს თბილისში სტუმრობის დროს. რა როლის შესრულება შეუძლიათ ბალტიისპირა ქვეყნებს და, მათ შორის, ლატვიას საქართველოს ევროპული და ევროატლანტიკური მისწრაფებების ხორცშესხმის პროცესში? და რატომ არის სასარგებლო საქართველოსთვის ბალტიისპირელი პარტნიორების ხისტი პოზიცია რუსეთთან მიმართებით?

წლის ბოლოსთვის ჩვენ ყველანი ველოდებით ევროკომისიის ანგარიშს სავიზო ლიბერალიზაციის შესახებ, საქართველომ მიაღწია პროგრესს და ჩვენ ყველას გვინდა, რომ ეს ანგარიში დადებითი იყოს, – აცხადებს ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრი ედგარს რინკევიჩსი და ფიქრობს, რომ როგორც კი ანგარიში გამოქვეყნდება, **„ალარ დარჩება მიზეზი, რომ (სავიზო ლიბერალიზაციის თაობაზე) გაჭიანურდეს პრაქტიკული გადაწყვეტილების მიღების პროცესი“**. და ეს იმიტომ, რომ საქართველომ გადადგა ყველა საჭირო ნაბიჯი და ახლა ევროკავშირმაც უნდა შეასრულოს თავისი დაპირება.

ევროპულ ოჯახთან დასაახლოებლად, ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრის თქმით, საქართველომ უნდა გააგრძელოს რეფორმების განხორციელება ყველა მიმართულებით, იქნება ეს ეკონომიკური, პოლიტიკური ხასიათის რეფორმები თუ სასამართლოს სისტემის რეფორმირება. ამ უკანასკნელ აქცენტზე და კიდევ თავისუფალი მედიის როლზე ედგარს რინკევიჩსმა უფრო ვრცლად ისაუბრა და საკითხი 2016 წლის საპარლამენტო არჩევნების ჭრილში წარმოაჩინა:

„აშკარაა დადებითი შედეგი ახალი კანონმდებლობის სახით, რომელიც მთავარი პროკურორის ოფისს უკავშირდება. მე აღვნიშნე, რომ პრინციპულად მნიშვნელოვანია, გქონდეს ძლიერი და დამოუკიდებელი სასამართლო, მაგრამ, ასევე, თანაბრად მნიშვნელოვანია, რომ გქონდეს ძლიერი და დამოუკიდებელი მედია. ეს ყველაფერი განსაკუთრებულ მნიშვნელობას იძენს მოახლოებული პოლიტიკური პროცესის ფონზე – არჩევნებია მომავალ წელს“.

ეს განცხადებები ლატვიის საგარეო საქმეთა მინისტრმა თბილისში, საგარეო საქმეთა სამინისტროში, ქართველ კოლეგასთან შეხვედრის შემდეგ გამართულ ერთობლივ პრესკონფერენციაზე გააკეთა, – მანამდე, ვიდრე პარლამენტის თავმჯდომარეს, პრემიერ-მინისტრსა და პრეზიდენტს შეხვდებოდა და, ასევე, საქართველოს ტერიტორიული მთლიანობის მიმართ უცვლელი და მტკიცე მხარდაჭერის ნიშნად, საოკუპაციო ხაზის მიმდებარე ტერიტორიას დაათვალიერებდა.

„მსურს დიდი მადლობა გადავუხადო ლატვიას ქართველი ხალხის სახელით იმ მხარდაჭერისთვის, რასაც საქართველო იღებს ლატვიისგან უმნიშვნელოვანეს პერიოდში, როცა ხდება საქართველოს ახალი ისტორიის ფორმირება ევროპასთან ერთად“ – ეს უკვე საქართველოს საგარეო საქმეთა მინისტრის, ვიცე-პრემიერ გიორგი კვირიკაშვილის სიტყვებია, 24 ნოემბერს ერთობლივ პრესკონფერენციაზე წარმოთქმული. გიორგი კვირიკაშვილმა ხაზი გაუსვა ლატვიის ურყევ მხარდაჭერას საქართველოს სუვერენიტეტისა და ტერიტორიული მთლიანობის მიმართ და თქვა, რომ საქართველოს აქვს მეგობარი ლატვიის იმედი ნატოსთან დაახლოების გზაზე. ცალკე გამოიკვეთა ასევე ორი ქვეყნის თანამშრომლობის მნიშვნელობა საქართველოს ევროკავშირთან დაახლოების მიმართულებითაც.

ლელა კუნჭულია,
რადიო „თავისუფლება“

უმაღლესი განათლების კრიზისი საქართველოში

კრიზისის არსებითი მიზეზები და მისი აღმოფხვრის გზები

ნომრის სტუმარია სამართლის დოქტორი, არასამთავრობო ორგანიზაცია „სოლიდარობა განათლებული საქართველოსთვის“ ვიცე-პრეზიდენტი, „ხმელთაშუა ზღვის სოციალურ მეცნიერებათა ჟურნალის“ (რომი, იტალია) მთავარი რედაქტორი ბიძინა სავანელი

— ბატონო ბიძინა, საქართველოში რეალურად არსებობს თუ არა კრიზისი უმაღლესი განათლების დარგში?

— დიახ, არსებობს! თქვენი ნებართვით კრიზისის სიღრმისეულ მიზეზებზე გავამახვილებ ყურადღებას.

სტუდენტთა განათლების პარალელურად, თუ ლექტორი თანამედროვე გამოწვევების ფონზე აქცენტს სამეცნიერო კვლევაზე არ აკეთებს, მაშინ სტუდენტთა განათლება სრულ სტაგნაციას განიცდის. სწორედ ასეთ მდგომარეობასთან გვაქვს საქმე საქართველოს უნივერსიტეტებში.

სანიმუშოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს დავასახელებ. ავადსახსენებელმა წინა მთავრობამ და ასევე ავადსახსენებელმა რექტორმა ხუბუამ, ბევრ სხვა არანაკლები სიმძიმის ცოდვასთან ერთად, სამეცნიერო კვლევევები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განზრახ ნულზე დაიყვანა, და ეს მაშინ, როდესაც დღიდან დაარსებისა უნივერსიტეტი ყოველთვის იყო სამეცნიერო კვლევების მედროშე საქართველოში. განსაკუთრებით ეს ითქმის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტებზე, რომელთაც დღეს, ოცდამეერთე საუკუნეში, ანუ ახალი ტექნოლოგიების ზეობის პირობებში, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მათ შორის აპარატურა, განზრახ სრულიად გაუნადგურეს. უფრო მეტი, სამეცნიერო სექტორი გარე დაფინანსების გარეშე დატოვებამ, ამ მიმართებით საქართველო განვითარებად, რეალურად კი განუვითარებელ ქვეყანათა რიგში ჩააყენა. არაპროგრესირებადი, მათ შორის სააკაშვილის მხარდამჭერი ძველი და ახალი ვაიპროფესორების წყალობით ანალოგიური მდგომარეობა სუფევს ბევრ საზოგადოებრივ ფაკულტეტზე, სადაც განათლება შეფარულად სწავლების მარქსისტულ-ლენინური მეთოდოლოგიისა და მეთოდიკის დონეზე გაიყინა.

ამას ზედ ემატება უმაღლესი განათლების, განსაკუთრებით კი მეცნიერების დარგში საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს ტრადიციული არაქმედუნარიანობა. სამინისტროს პრიორიტეტი სასკოლო განათლება და მისი შიშველი ადმინისტრირებაა. ამიტომ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მისი ფაქტობრივი (თუმცა, აქაც ნაკლული) ფუნქციონირების კვალობაზე სახელი უნდა შეეკვეცოს და მას საქართველოს სასკოლო განათლების სამინისტრო უნდა ეწოდოს.

უფრო მეტი, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უგულებელყოფს უნივერსიტეტის ავტონომიის შესახებ გაეროს, იუნესკოს, ევროპის საბჭოსა და ევროკავშირის ნორმატიულ აქტებს. ამიტომ, გამოსავალია ზემოაღნიშნული საერთაშორისო ორგანიზაციების ნორმატიული აქტების საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ შესრულებისა და დაცვის კატეგორიული მოთხოვნა.

— რას იტყოდით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში არსებულ მდგომარეობაზე?

— თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში პარადოქსული სიტუაცია შეიქმნა: მთლიანად უნივერსიტეტის ავტონომიის არარსებობის ფონზე ავტონომიას მხოლოდ ფაკულტეტების დეკანები ფლობენ. უფრო მეტი, თუ ფაკულტეტები მთლიანად საუნივერსიტეტო ავტონომიას ქვემოდან ზღუდავენ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო ამას ზემოდან ახდენს. არადა, თანამდებობრივად და პერსონალურად ვინ უნდა დაიცვას თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საუნივერსიტეტო ავტონომია, თუ არა რექტორმა როგორც უნივერსიტეტის ხელმძღვანელმა? და ეს მაშინ, როდესაც რექტორის ფუნქციები თითქმის ნოლის ტოლია.

— რა არის ამის მიზეზი?

— მკითხველს გაუკვირდება თუ ვიტყვი, რომ ამის მიზეზია სააკაშვილის თავგასულობის დროს პარლამენტის მიერ მიღებული „საქართველოს კანონი უმაღლესი განათლების შესახებ“, რომელმაც მსოფლიოს უნივერსიტეტებისათვის უცნობი და კურიოზული მდგომარეობა განზრახ შექმნა. სახელდობრ: „საქართველოს კანონში უმაღლესი განათლების შესახებ“ რექტორის უფლებამოსილების შესახებ არათუ მუხლი, ქვემუხლიც კი არ არსებობს.

— ეს როგორ?!

— მოდით კანონში ჩავიხედოთ.

დავიწყოთ იმით, რომ კანონის მუხლი 14, პუნქტი 2 ადგენს: „2. საჯარო სამართლის იურიდიული პირი“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება შედგება ძირითადი საგანმანათლებლო ერთეულებისაგან, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ბიბლიოთეკის (ბიბლიოთეკების) და დამხმარე სტრუქტურული ერთეულებისაგან: რექტორის აპარატისაგან, ადმინისტრაციის ხელმძღვანელის აპარატის, კანცელარიისა და მართვის ორგანოების სამდივნოებისაგან.“

კანონის მუხლი 15, პუნქტი 2 ადგენს: „2. საჯარო სამართლის იურიდიული პირის“ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების მართვის ორგანოები (მმართველი სუბიექტები) არიან: აკადემიური საბჭო, წარმომადგენლობითი საბჭო, რექტორი, ადმინისტრაციის ხელმძღვანელი და ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური.“

კურიოზი ისაა, რომ თუ კანონის მუხლები 17-21 აკადემიური საბჭოს, წარმომადგენლობითი საბჭოს და ადმინისტრაციის ხელმძღვანელის არჩევა-გადარჩევის და უფლებამოსილების წესებს ადგენს, ამის საპირისპიროდ, კანონის მუხლი 22 რექტორის მხოლოდ არჩევა-გადარჩევის წესებს განსაზღვრავს.

ამრიგად, უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ხელმძღვანელს — უნივერსიტეტის რექტორს — არავითარი უფლევამოსილება კანონის ძალით არ გააჩნია. არადა, მსოფლიოს ყველა ქვეყნის, განსაკუთრებით ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების კანონმდებლობა,



რექტორის უფლებამოსილებას განსაკუთრებულად გამოყოფს და ზუსტად განსაზღვრავს. ამის შესახებ მე სპეციალური კვლევა ჩავატარე და გადაწყვეტილი მაქვს ის სამთავრობო და არასამთავრობო ორგანიზაციებს გადავუგზავნო. კვლევის თემაა: „ევროკავშირის წევრი სახელმწიფოების უნივერსიტეტების დამოუკიდებლობის შედარებითი ანალიზი“, რომელიც 25 გვერდს მოიცავს.

— სად არის გამოსავალი?

— უპირველეს ყოვლისა, გამოსავალია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის, როგორც ისტორიულად მოწინავე სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის, განსაკუთრებული სტატუსის მინიჭება.

— რატომ?

— რატომ და იმიტომ, რომ:

1. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთადერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელიც დაარსდა საქართველოს დამოუკიდებლობის დროს, და ის იყო პირველი და ერთადერთი უნივერსიტეტი მთელ კავკასიაში;

2. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთადერთი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებაა, რომელსაც გამორჩეული როლი მიუძღვის საქართველოში უმაღლესი განათლების, მეცნიერებისა და კულტურის განვითარებაში;

3. თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი ერთადერთი უმაღლესი საგამანათლებო დაწესებულებაა, რომლის შემადგენლობაში ამჟამად მსოფლიოში ცნობილი ბევრი სამეცნიერო ინსტიტუტი შედის.

ამიტომ კოლეგებს მოვუწოდებ, **საქართველოში განათლებისა და მეცნიერების ჩიხიდან გამოსაყვანად, პირველ ყოვლისა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის განსაკუთრებული სტატუსის მოსაპოვებლად უნდა გავერთიანდეთ, რაც, ბევრ სიკეთესთან ერთად, შინა მტრების (არ გამოვრიცხავ სააკაშვილის მიერ მოსყიდული უშიშრობის დღევანდელ სამსახურში შემორჩენილი მსტოვრების) მიერ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტთა ნაწილის წაქეზებას, მოსყიდვასა და გამოყენებას წინა მთავრობის სადისტური და ველური პოლიტიკური და ეკონომიკური რეჟიმის ასაღორძინებლად, აღნიშნული საკანონმდებლო ხარვეზის საშუალების გამოყენებას აღკვეთავს.**

— დღევანდელ ხელისუფლებას რაიმე ბრალი თუ მიუძღვის უმაღლესი განათლების დარგში კრიზისის არსებობაში?

— საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს არაქმედუნარიანობაზე ზემოთ მოგახსენეთ. აქ კი აქცენტი უმაღლესი განათლების სფეროში კრიზისის მეორე სიღრმისეულ მიზეზზე მინდა გავაკეთო.

ხელისუფლებასთან მიმართებაში, სიღრმისეული სულ ცოტა ორი უმთავრესი მიზეზი არსებობს.

1. საქართველოს პარლამენტმა ლუსტრაციის შესახებ კანონი არ მიიღო, რის გამო მთავრობამ სააკაშვილისა და მისი მთავრობის უკანონო ბრძანებების აღმსრულებელთა უმრავლესობა თანამდებობებზე დატოვა და მათთან კოჰაბიტაციაში შევიდა.

2. საქართველოს მთავრობა თავისი თვითიმედოვნებით და უმოქმედობით, ნებსით თუ უნებლიეთ, ხელს უწყობს სააკაშვილის, მისი მთავრობისა და საპარლამენტო გუნდის მიერ შინა და გარე მტრების ხელშეწყობით საქართველოს დამანგრეველი, სადისტური, ნეკროფილიის ელემენტებით გაჯერებული რეჟიმის აღორძინებას.

ყველაფერი ეს, საბოლოო ჯამში, საქართველოს მოქალაქეთა სამოქალაქო, პოლიტიკური, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების ხელყოფას იწვევს.

— ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭების საკითხს რომ დავუბრუნდეთ, რატომ აკეთებთ აქცენტს სტატუსზე?

— თქვენ კითხვაზე პასუხს ერთი დათქმით დავიწყებ. მე გახლავართ სააკაშვილის მთავრობის მიერ დევნილი არასამთავრობო ორგანიზაცია „სოლიდარობა განათლებული საქართველოსთვის“ ვიცე-პრეზიდენტი. ნიშანდობლივია, რომ ამ არასამთავრობო ორგანიზაციას სათავეში ედგა გამოჩენილი მეცნიერი, აწ გარდაცვლილი აკადემიკოსი თენგიზ სანაძე. ეს არასამთავრობო ორგანიზაციაა, რომლის წევრები მაშინდელი ვაირექტორის გია ხუბუას ხელშეწყობით უნივერსიტეტის შენობაში დაარბიეს, რის შედეგადაც ზოგიერთი მალე გარდაიცვალა (სხვათა შორის, ცნობილი მოვლენების დროს რუსის ჯარს უნივერსიტეტის ეზოში შეღწევა არც კი უცდია). ჩვენ, სწორედ რომ, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ინსტიტუციური დამოუკიდებლობისათვის ვიბრძოდით.

ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის, როგორც ისტორიულად მოწინავე სახელმწიფო უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებისთვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭებაზე აქცენტს შემდეგი გარემოების გამო ვაკეთებ.

საერთოდ უნივერსიტეტების, განსაკუთრებით თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, დამოუკიდებლობის ინსტიტუციური სტატუსის გაზრდა არის მთავარი ელემენტი, რისი მეშვეობითაც საქართველოს შეუძლია თანამედროვეობის გამოწვევებს გაცილებით უკეთ უპასუხოს.

სწორედ ამიტომ მე მოვამზადე კანონპროექტი საჯარო სამართლის პირის — „ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტისათვის განსაკუთრებული სტატუსის მინიჭების თაობაზე“, რომელსაც ჩვენი ორგანიზაცია სათანადო პროცედურის დაცვით წარუდგენს საქართველოს პარლამენტს. ამის შემდეგ, საქართველოს პარლამენტი იმედია, რექტორის უფლებამოსილების არარსებობის შესახებ კურიოზული საკანონმდებლო ხარვეზს გამოასწორებს.

მხოლოდ ამ მიზნის მიღწევის შემდეგ შეიძლება გავაფართოოთ მოქმედების არეალი, თორემ მრავალ საკითხზე ყურადღების გადატანით კრილოვის იგავის გმირების სიტუაციაში აღმოვჩნდებით, რაც საბოლოო ჯამში საქართველოს გაერთიანებისა და უნიტარულ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების მოწინააღმდეგე შინაურ და გარე მტერს ხელს აძლევს.

ჩვენი გაერთიანების გასაძლიერებლად და ძირითადი მიზნის მისაღწევად ჩემს კოლეგებს მოვუწოდებ: **მოვიძიოთ და მოძრაობაში ჩავრთოთ არა საკუთარ კარიერაზე მზრუნველი, არამედ თანამედროვე გამოწვევებზე და ერის კულტურულ განვითარებაზე ორიენტირებული ახალგაზრდა მეცნიერნი თბილისის სახელმწიფო და სხვა უნივერსიტეტებიდან.**

ესაუბრა

მამუკა ვაშაკიძე

ავადსახსენებელმა წინა მთავრობამ და ასევე ავადსახსენებელმა რექტორმა ხუბუამ, ბევრ სხვა არანაკლები სიმძიმის ცოდვასთან ერთად, სამეცნიერო კვლევევები თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში განზრახ ნულზე დაიყვანა, და ეს მაშინ, როდესაც დღიდან დაარსებისა უნივერსიტეტი ყოველთვის იყო სამეცნიერო კვლევების მედროშე საქართველოში. განსაკუთრებით ეს ითქმის საბუნებისმეტყველო ფაკულტეტებზე, რომელთაც დღეს, ოცდამეერთე საუკუნეში, ანუ ახალი ტექნოლოგიების ზეობის პირობებში, მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მათ შორის აპარატურა, განზრახ სრულიად გაუნადგურეს. უფრო მეტი, სამეცნიერო სექტორი გარე დაფინანსების გარეშე დატოვებამ, ამ მიმართებით საქართველო განვითარებად, რეალურად კი განუვითარებელ ქვეყანათა რიგში ჩააყენა.

წყალი ნამდვილად ამღვრეულია!

სულით ხორცამდე შეგვძრა 13 ნოემბერს პარიზში დატრიალებულმა უბედურებამ, ტერორისტებმა სამიზნედ საფრანგეთის დედაქალაქი აირჩიეს და მშვიდობიან ხალხს დაერივნენ, იქ მომხდარი ტრაგედიის შემდეგ ბევრმა ტერორისტმა ევროპის სხვა ქალაქებს შეაფარა თავი. საგანგებო ვითარებაა გამოცხადებული ბრიუსელში. ამ ამბავმა ჩვენი ჭირი დროებით დაგვავიწყა.

ყველანი, დიდი და პატარა, ვიზიარებთ ფრანგი ხალხის ვეებერთელა ტრაგედიას, საკვირველი არ არის, რომ ცივილიზებულმა სახელმწიფოებმა ერთად დგომის სურვილი გამოთქვეს ტერორისტული ორგანიზაციის „ისლამური სახელმწიფოს“ (ჩამოყალიბდა 2014 წელს) წინააღმდეგ საბრძოლველად, მაგრამ, რაც არ უნდა კეთილშობილური იყოს რუსეთის ნაბიჯი ფრანგ ხალხთან დგომისა, მაინც რაღაც არაეთიკურად მეჩვენება მათი ქცევა... აგერ ახლა არ იყო ქართველი ხალხის თავზე რომ ტერორი და უბედურება დაატრიალეს რუსმა დამპყრობლებმა? უცოდველი ხალხის სისხლი დაღვარეს, მშვიდობიან მოსახლეთა სახლები გადაბუგეს. დღემდე გრძელდება ქართველი მოსახლეობის დარბევა და აბუჩად აგდება, საკუთარი მიწა რკინის ხლართებით გადაულობეს, საზღვარი დაუწესეს და საზღვრის გაღმა კი არადა, საზღვრის შიგნითაც ფეხის დადგმას არ ანებებენ, საკუთარი მამა-პაპის მიერ აშენებულ ეკლესიებში სადღესასწაულო ლოცვებზე შესულებს იტაცებენ, ასევე ატუსაღებენ და აჯარიმებენ მწყემსებსა და მიწაზე მომუშავე გლეხებს საზღვრის გადალახვის ყალბი ბრალდებით. ეს რაც საქართველოში ხდება. ახლა უკრაინას რასაც უშვრებიან! — ეს ხომ მთელმა მსოფლიომ იცის.

რა არ ხდება და რას არ უნდა ელოდო ამ ქვეყნად! მაგრამ საფრანგეთის ამბებმა ყველაზე დიდი და მტანჯველი გრძნობა დაბადა ჩვენში — დაუცველობა! რომ წარმოვიდგინე, რა დღეშია ჩვენი საზღვრები, რომ გამახსენდა ვინ და რა რჯულის ადამიანი შემოდის და გადის ჩვენი საზღვრების მოღიავებული ჭიშკრებიდან, ამასთან ერთად, ყოველ შემოსულ უცხოელს ყოვლად უპირობოდ მიწის ყიდვაც რომ შეუძლია და, აქედან გამომდინარე, აქ ცხოვრებისა და მოქალაქეობის უფლების მიღებაც... — რა თქმა უნდა, არ არის მთლად დაწყობილად საქმე და არის შიშის საფუძველი, მაგრამ ჯერ სადა ხარ თურმე, შემოსული უცხოელი კი არა, ჩვენი მკვიდრი, ძირძველი ქართველი (მუსულმანი) შეჰკედლებია ჯიჰადს და იქიდან თავების დაყრევინებით რომ გვემუქრება, ამას რა დავარქვათ! აგერ კიდევ, პანკისელი ახალგაზრდების მასობრივი გაქცევა თუ გადასვლა სირიაში. რა ვიფიქროთ, რა ვქნათ, მტერი და მოწინააღმდეგე ჩვენს მიწაზე ამოგვზრდია თურმე...

ქვეყანას ისე უნდა მოვლა, როგორც საკუთარ სახლ-კარს, საკუთარ ოჯახს. თუ არ უპატრონე თუ არ მოუარე, თუ თითოეული ოჯახის წევრი თავის ადგილზე არ დასვი და ის საქმე არ აკეთებინე, რაც მას შეჰფერის, ბავშვები თავიდანვე შრომასა და წესრიგს არ მიაჩვიე, ლხინსა და ჭირში გვერდით არ ამოიყენე, თითოეული წევრის დასაქმებაზე არ იზრუნე, შენივე ოჯახშივე გაგიჩნდება მტერი, მეზობლებსა და ნაცნობებზე რომ არა ვთქვა რა, ასეთია ადამიანის ბუნება და რას ვიზამთ! სახელმწიფოც დასაკვალიანებელი, დასასაქმებელი ადამიანებისაგან შედგება. მთავრობამ, იგივე ქვეყნის თავმა და პატრონმა უნდა მიხედოს ხალხს. მშრომელი, დასაქმებული ხალხისაგან შემდგარი ქვეყანა ძლიერია. ჩვენთან კი რა ხდება, რა დღეშია ხალხი, სად არის წესრიგი, სად არის საქმე, ვისთვის არის ხელსაყრელი ბედის ანაბარა მიტოვებული სოფლები, მოუვლელი მინდორ-ველი, ერთ დროს მობიბინე, ახლა კი გაველურებული, ჩაის პლანტაციები, პურის ფულის საშოვნელად აღმა-დაღმა მიმავალ-მომავალი ადამიანები, მათ შორის ჯერ კიდევ დაუღვინებელი ახალგაზრდები!..

დაუცველობის გრძნობით ატანილს შიშმა რა არ გამახსენა და მომაგონა. რამდენი რამ მოხდა ამ შემოდგომაზე, რამდენი ცუდი და ერთი კარგი — არაფერი. არადა, როგორ მინდა კარგ და სასიამოვნო ამბებზე ვისაუბრო. არა და არა, არ მოვიდა ეს დრო. ჯერ იყო და მოსავლის მოწევის ნაცვლად წვიმებმა, ქარიშხლებმა და წყალდიდობებმა გაატიალეს ჩვენი სოფლები, სარჩო-საბადელთან ერთად ბევრ ოჯახს სახლის სახურავიც კი არ დაუტოვა ძლიერმა ქარმა. გაჭირვებულები ხომ ისედაც არ გვაკლდა და ახლა მათ რიცხვს ემატება და ემატება. რომელ ერთს მიხედოს ქვეყანამ, რომელ ერთ გაჭირვებულსა და უსახლკაროს მოუაროს... ახლა პოლიტიკურ ველს არ ვიკითხავთ? მძაფრდება და მძაფრდება სიტუაცია. ოპოზიციურმა პარტიებმა დრო იხელთეს, ვითომ ხალხზე ზრუნვით დღედაღამ არ ძინავთ, მათი გულის მოსაგებად მთავრობას უკიჟინებენ: რატომ პენსიონერებს პენსიას არ უმატებთ, მოსამსახურეებს ხელფასებს არ უორმაგებთო! გაორმაგება კი არადა, რაც ჰქონდათ, ისიც არ შეარჩინეს წინა ხელიოსუფლების წარმომადგენლებმა მოსამსახურეებს, რამდენი ორგანიზაცია, რამდენი კვლევითი და სამეცნიერო დაწესებულება დაიხურა გასულ წლებში, ვინ მოთვლის... უმუშევართა არმიები შექმნეს და ულუკმაპურად დატოვეს ნიჭიერი და კვალიფიციური მუშაკები. ვისაც თავისი გარჯით თუ ხერხით (რას გაარჩევ!) ჰქონდა მოპოვებული ქონება და სარჩო-საბადელი ჩამოართვეს და ჩამორთმევას ვინ დაეძებს . როგორც „არასაიმედონი“, ციხეშიც გაამწესეს. ახლა კი სხვა დროა თითქოს, თუმცა. დახურვით არა, მაგრამ მაინცდამაინც აღდგენილსაც ვერა ხედავს ხალხი ვერაფერს. ტელევიზია „რუსთავი-2-ის“ დაბრუნება მოინდომა ყოფილმა მეპატრონემ და ყველამ ვიცით, რა ამბავი ატეხეს ნაციონალებმა. მთელ მსოფლიოს გააგებინეს, თუ როგორ ებრძვის საქართველოს მთავრობა მედიას, მართალ სიტყვას, თუ როგორ უხურავენ ქვეყანას დემოკრატიის შემოქმედსა და მღაღადებელ — „რუსთავი-2-ს.“ ყველაზე საკვირველი ის არის , რომ ყოფილ მეპატრონეს დაუპირისპირდა არა ახლანდელი მეპატრონე, არამედ დანიშნული დირექტორი, რომელმაც მოქალაქეობრივ პასუხისმგებლობაზე ხელი აიღო და მასხრად აიგდო ქართული სახელმწიფო სამართალი, ისედაც არეულ და უწესრიგო მასას უჩვენა, თუ რა სიტყვები უნდა იხმარო „თავის დასაცავად“ სასამართლოს წინაშე. ბევრს არ გავაგრძელებ, ვიცით, რაც მოხდა და რაც ხდება აღნიშნული ტელევიზიის ირგვლივაც და მის შიგნითაც, გვეცოდინება, რა თქმა უნდა, არც მალავენ, პირდაპირი ომი აქვთ გამოცხადებული ამ მთავრობისა და, განსაკუთრებით, ბიძინა ივანიშვილის დასასამარებლად. ძველი ბერძენი ფილოსოფოსის გამონათქვამი მაგონდება: „**როგორ გინდა გაიჩუმო (თუ დაარწმუნო?) ბრიყვი, რომელსაც ერთ სიბრიყვეს გაუბათილებ თუ არა, იქვე იწყებს მეორეს“...** თუმცა ყველაფერმა ამან ეჭვები ნამდვილად დაბადა საზოგადოებაში... სამწუხაროდ!

ახლა წარმოვიდგინოთ, თუ რა დადი შრომაა მთავრობისაგან გასაწევი დემოკრატიის იმ იაფფასიანი, ყალბი ნიღბის დასამსხვრევად, რომელიც წინა მთავრობამ მოარგო ჩვენს ქვეყანას. მათი ნაშრომ-ნამოღვაწარი ბევრი რამ წყალშია ჩასაყრელი. საჭიროა ხელახალი რეფორმები, ხელახალი პროექტები, ახალი კანონები, — ყველაფერი ევროსტანდარტებით, დახვეწილი დიპლომატიით და რუდუნებით, რათა, ბოლოს და ბოლოს, გავხდეთ ევროკავშირის წევრი. მაგრამ სად არის დიპლომატია, განა მარტო ევროკავშირისთვის და საზღვარგარეთის ქვეყნებთან ურთიერთობისთვის არის საჭირო იგი. შენს საკუთარ ქვეყანაში უფრო მეტი დაკვირვება და ფრთხილი სიტყვა-პასუხი მართებთ მთავრობის ოფიციალურ და არაოფიციალურ წევრებს. იმ დროს, როდესაც ეკონომიკურად ძლიერ შეჭირვებული, ცუდი ცხოვრებით გაავებული ხალხი ვერ მალავს უკმაყოფილებას და ხმამაღლა გაიძახის: ოცნება ოცნებად დაგვრჩაო, როდესაც აღშფოთება მატულობს და არ იკლებს, რაღა დროს სასახლიდან პრეზიდენტის გამოსახლებაზე საუბარია!

ძალიან ხმაურიანი აღმოჩნდა შუალედური არჩევნების საკითხიც. სამართლიანობის დეკიზით მოსულ ხელისუფლებას საგარეჯოს რაიონში უმართებულოდ ჩატარებულ არჩევნებს უჩივის პატრიოტთა ალიანსის გუნდი, ისინი გაყალბებულ არჩევნებს გმობენ და შიმშილობდნენ კიდეც. ვინც იცის, რა მოხდა საგარეჯოში, ხომ იცის, მაგრამ ვინც არ იცის, იმათ რა ქნან, ვის დაუჯერონ, ვის ენდონ... ერთი რამ კი ცხადია: არჩევნებზე ტენდენციურად განწყობილი მთავრობის პირების (მინისტრების!) გამოჩენა რა საკადრისია, შეიძლება ასეთი რამ შეეშალოს ხალხის სამაგალითოდ მიჩნეულ პირს? არ უნდა შეეშალოს! დაკვირვებულ და ქვეყნის ბედ-იღბლით შეფიქრიანებულ ადამიანებს აწუხებთ ეს ამბავი, არც „რუსთავი- 2-ის“ ირგვლივ ატეხილ პროვოკაციებზე იყო საჭირო ბატონი ივანიშვილის პასუხები და საუბარი კორესპონდენტებთანო, ამბობენ ექსპერტები.

ასე აფორიაქებული ცხოვრებით ცხოვრობს დღევანდელი საქართველო. ძალიან ამღვრეულია ცხოვრება, ამღვრეულია ჰაერი და, რასაკვირველი, წყალიც ამღვრეულია. უჟანგბადობა სულს გვიხუთავს. გამოკვლევებმა გვიჩვენეს, რომ დაავადებების 18% და სიკვდილიანობის 19% ჩვენი ქალაქის დაბინძურებულ ჰაერზე მოდის თურმე! მაგრამ მერე რა, ყოველთვის მოიპოვებიან ადამიანები, რომლებიც სწორედ ამღვრეულ წყალში იჭერენ კალმახებს. შეიძლება გაგიკვირდეთ საუბრის გადახვევა, მაგრამ არ შემიძლია ამავე წერილში არ ვთქვა ადამიანებზე, რომლებიც თითქოს ვერც ამჩნევენ რა ხდება მათ ირგვლივ და სულ სხვა საქმეებით დაინტერესებულნი ვერც ხვდებიან, რომ საშვილიშვილო პრობლემებს უქმნიან ჩვენს მომავალს! ერთ დროს ორსართულიან და ორნამენტებიანი აივნებით დამშვენებული სახლებით ცნობილ თბილის-ქალაქში (და არა მარტო თბილისში...) მშვიდად და აუღელვებლივ აგრძელებენ იმ ტენდენციას, რაც ჩვენდა სამწუხაროდ, კარგა ხანია, უკვე დაწყებულია. აგრძელებენ კი არადა, ახალ-ახალი ნოვაციებით გვაკვირვებენ კიდეც... თუ აქამდე თვრამეტი და ოცსართულიან უსახურ სახლებს გვიშენებდნენ უადგილო ადგილებში, რამაც არასასიამოვნო ხედებით და პანორამებით გადატვირთა და დააუშნოვა ქალაქი, ახლა, ერთმანეთის ჯიბრსატანილებმა, ოცდაათი და მეტისართულიანების მშენებლობა წამოიწყეს ისე, რომ არც ქალაქის გამტარუნარიანობა, უჟანგბადობა და, ზოგადად, ეკოლოგია გაითვალისწინეს, არც ის, რომ ამ სართულებში შემომსვლელები, გნებავთ, ორგანიზაცია-დაწესებულებები და, გნებავთ, მაცხოვრებლები, ზეციდან კი არ შემოფრინდებიან მათთვის მიკუთვნებულ ადგილებში, არამედ იმ გადატვირთულ პროსპექტებზე და ქუჩებს მიუმატებენ თავიანთ ავტომობილებს, სადაც უკვე სამგზავრო თუ სხვა სახის ტრანსპორტი ერთმანეთს გვერდს ვერ უვლის და დღის ნებისმიერ მონაკვეთში ისეთი საცობები იქმნება, ათწუთიან სავალ გზას, მძღოლი ზოგჯერ საათნახევარშიც ვერ ფარავს. ჭავჭავაძის პროსპექტზე (ალბათ სხვაგანაც) სადაცაა დამთავრდება თვალუწვდენელი სიმაღლის უთვალავსართულიანი შენობები.

არ ვიცი, რა სჭირთ ქალაქის არქიტექტურის მესვეურებს და ქალაქის მერიას (ორივეს ერთად!), ამ უკულმართობის დაუნახაობა შეიძლება? და, როდესაც ასეთ რამეს ვერ ხედავენ, შემოპარულ მტერს და ტერორისტს დაინახავენ კი?

დიახ, წყალი ნამდვილად ამღვრეულია!

გულნარა სტურუა

◉ ალიან-ჩალიანი

„ისლამური სახელმწიფოს“ სახელით გამოქვეყნებული ვიდეოს ორი მონაწილე მეჩეთში ლოცვებზე დადიოდა

სრულიად საქართველოს მუფტის ბეგლარ ქამაშიძის განცხადებით, საუბარია ხვიჩა გობაძეზე და მამუკა ანთიძეზე. მუფტმა პრესკონფერენციაზე განაცხადა:

„ოჯახებთან არანაირი შესება არ მაქვს. ორი პიროვნების შესახებ ვიცი, რადგან ისინი დადიოდნენ მეჩეთში და იყვნენ მორწმუნენი. რამ გადააწყვეტინათ მათ ასეთი ქმედების ჩადენა, ჩემამდე ვერ მოდის. ვერ წარმომედგინა, რომ მორწმუნე ადამიანი უცებ ამას გადაწყვეტდა. მე გობაძეში ვხედავდი კარგ მორწმუნე ადამიანს. მის შესახებ არც შევიწროება გამიგონია. თუმცა, რატომ ჩაიდინა ეს ქმედება უცნობია“. მისივე თქმით, უცნობია თუ რატომ იღებენ სირიაში საბრძოლველად წასვლის გადაწყვეტილებას.

„არ ვიცი რატომ მიდიან ეს ადამიანები. თქვეს, რომ პანკისიდან ფულის გამო მიდიანო, თუმცა ჩემთვის უცნობია საერთოდ უხდიან თუ არა რაიმეს ან რამდენს. ასევე, გვაქვს ინფორმაციები, რომ ამ ადამიანებზე შესაძლოა ფსიქოლოგიური ზეწოლა ხდებოდეს, ასევე საუბარია სოციალური ქსელების მეშვეობით დარწმუნებაზე. ჩვენ თუ შევამჩნევთ ასეთ პრობლემებს ადამიანში, ეს ადამიანები უნდა გამოვასწოროთ“, — განაცხადა ბეგლარ ქამაშიძემ. მუფტისთვის უცნობია რამდენი ადამიანია წასული და გეგმავენ თუ არა მუსლიმი ახალგაზრდები მსგავსი ნაბიჯის გადადგმას.

„ჩემთვის ცნობილი რომ იყოს, სახელმწიფოს ვეტყოდი. მე არ ვარ სახელმწიფო მოხელე, მე ვარ სასულიერო ლიდერი და სახელმწიფო უნდა აკონტროლებდეს, რომ ადამიანების გადინება არ მოხდეს. მე არ ვიცი, რამდენი ადამიანია წასული ან რატომ წავიდა. ეს არის ბოლო ერთი წლის ამბავი, რაც ასეთი გადინება და წასვლა დაიწყო“, — აღნიშნა ბეგლარ ქამაშიძემ. მუფტის განცხადებით, მუსლიმთა სამმართველო მუშაობს, რომ მუსლიმებმა მაქსიმალური ინფორმაცია მიიღოს ჭეშმარიტი ისლამის შესახებ, რაც, თავის მხრივ, ხელს შეუშლის სირიაში გადინებას.

ინტერპრესი

ცოტ-ცოტა რამდენიმე პრობლემის შესახებ

საძართველო მრავალი პრობლემის წინაშე დგას. უმთავრესი და ძნელად გადასაჭრელი პრობლემაა ერთ ერად ჩამოყალიბების პროცესის დაუმთავრებლობა. რაში გამოიხატება ეს დაუმთავრებლობა? – საქართველოში, შეიძლება ითქვას, მძვინვარებს კუთხურობა; ჯერ კიდევ არ გადავსულვართ ერთიან სალაპარაკო ენაზე; არ გვაქვს ერთიანი რელიგია. ასეთ ვითარებაში საქართველოს ზოგ რეგიონში (უნდა ვაღიაროთ) არის სეპარატიზმის განვითარებისა საშიშროება .

ჩვენს მეზობელ ქვეყნებში, მაგალითად, სომხეთსა და აზერბაიჯანში, უკვე კარგა ხანია დამთავრებულია ზემოხსენებული პროცესი. ამის ნათელი დადასტურებაა ერთიანი ენა და რელიგია.

რატომ გავუსვი ხაზი რელიგიას? – რასაკვირველია, რელიგია განვითარებულ ქვეყნებში არ არის სამყაროს გაცნობიერებისა და ადამიანის სულიერების ამაღლების საშუალება. ასეთ ქვეყნებში რელიგიისადმი პატივისცემა ნიშნავს მხოლოდ და მხოლოდ ტრადიციებისადმი პატივისცემას. მაგალითად, ინგლისის მოსახლეობის მხოლოდ 5 პროცენტია რელიგიის მიმდევარი. ამ ხუთ პროცენტში შედის ძირითადად ამ ქვეყანაში არც თუ ისე დიდი ხნის წინ დამკვიდრებული მოსახლეობა.

ქართული სახელმწიფოებრიობის ძირგამომთხრელები – ეგრეთ წოდებული არასამთავრობოები, რომლებიც გაყიდულნი არიან დოლარებზე, ყოველნაირად ცდილობენ, აჭარლებში გაძლიერდეს მაჰმადიანური რელიგია. გავიხსენოთ ადიგენის რაიონში ამას წინათ განვითარებული მოვლენები. იქ მცხოვრები აჭარელი მაჰმადიანები საჯაროდ აცხადებდნენ, სისხლი დაიღვრებაო. ვისი სისხლი დაიღვრება? – შენ თუ ქართველი ხარ, – ქართველის? საქართველოს ყოველი კუთხე მოწადინებულია ოსმალეთის იმპერიიდან თავდაღწეულ ძირძველ ქართველებს (აჭარლებს) ყოველნაირად დაეხმარონ – უყოფენ საუკეთესო საცხოვრებელ ადგილებს ყველა ატრიბუტით – ბინა, საკარმიდამო, პირუტყვისთვის ვრცელი საძოვარი და ასე შემდეგ. ერთი აჭარელი, რომელიც ზოოინსტიტუტის მახლობლად ჩაუსახლებიათ რამდენიმე თანასოფლელთან ერთად, მესაუბრა – სამოთხეში ჩაგვასახლესო. ჩვენთან, ხულოში შვიდი თვე ზამთარი მძვინვარებს, მეწყერი და წყალდიდობა მოუცილებელი პრობლემებია, მიწის სიმცირე და სიმწირე ხომ გვაწუხებდა და გვტანჯავდა... აქ ყველაფრით უზრუნველყოფილი ვართ – ბინით, წყლით, მხედველობაში მაქვს – სარწყავი, სასმელ წყალზე ხომ ლაპარაკი ზედმეტია – 24 საათით უზრუნველყოფილი ვართ; მოგვყავს მწვანილი, ბაზარიც აქვეა, საქონელიც გვყავს. თოვლი აქ არ მოდის და ვართ მშვიდობიანად, ლუკმაპური არ გვაკლია და კაცი ოდნავ თუ გაანძრევს ხელს, ცხოვრება არ გაუჭირდება. იქ, ხულოში დალხენილი ცხოვრება არ გვქონდა – უხვი თოვლი, მეწყერი, ქარი, ადიდებული ღელეები წელიწადში რამდენიმეჯერ თავს გვახსენებდა. მასთან შედარებთ ახალი სამოსახლო სამოთხეა, აბა, რა არის?! ოფიციალურად ქრისტიანულად მოვინათლე – დავუბრუნდი ჩემს ძველ სარწმუნობას!

აი, რა სამართლიანად მსჯელობს ბევრი აჭარელი. მაგრამ არასამთავრობოების წაქეზებით, ზოგჯერ მათგან ვისმენთ მეტად დასაგმობ მოსაზრებას. ერთი აჭარელი ახლა სირიაში წასულა და იქიდან გვემუქრება – მთელ ქრისტიანულ საქართველოს სამაგალითოდ დავსჯითო.

ამოუჩემებიათ – ქართველი მეფეები ყველა რელიგიისადმი ტოლერანტულები იყვნენო. რასაკვირველია, ეს მართალია, მაგრამ ტოლერანტები იყვნენ სხვა ერების მიმართ, რომლებიც სხვადასხვა რელიგიის მიმდევრები იყვნენ, ხოლო თუ ქართველი კაცი რელიგიას შეიცვლიდა, ისჯებოდა იმავე მეფის ბრძანებით.

აქედან დასკვნა: ეგრეთ წოდებული არასამთავრობოების ანტიქართული ქმედებანი უნდა გამოაშკარავდეს და შესაბამისად მოვიქცეთ.

* * *

ხიდაშელმა სიამაყით განაცხადა: ახლო მომავალში ქართულ ჯარში გაწვევა არ იქნება სავალდებულოო. ეს ხომ ქართული ჯარის მოშლას ნიშნავს. თანამედროვე ქართველ ახალგაზრდას არ სურს ჯარში სამსახური. თუ ვინმეს ოდნავი საშუალება აქვს ლუკმაპურის შოვნისა – ის ფულისთვის ჯარში არ წავა სამშობლოს წინაშე ვალის მოსახდელად.

ამრიგად, ქართული ჯარი დაკომპლექტდება უკიდურესად ღარიბი ოჯახებიდან გამოსული ახალგაზრდებით, რომელთაც საკვების სიმცირის გამო, ფიზიკურადაც ნაკლებად განვითარებული არიან, გონებრივი თვალსაწიერითაც გაუჭირდებათ თანამედროვე სამხედრო ტექნიკის სრულყოფილად ათვისება. ისტორიამ იცის მაგალითები, როდესაც ღარიბი მოსახლეობიდან შეუწყვეტიათ ახალგაზრდების გაწვევა ჯარში, ვინაიდან ასეთი ოჯახებიდან გამოსული ახალგაზრდები ვერ აკმაყოფილებენ ჯარისკაცის ფიზიკურ მონაცემებს. ქართველი ერი იმდენად მცირერიცხოვანია და მას იმდენი ძალები ემუქრებიან, რომ სამხედრო სამსახური ყველა ქართველმა უნდა გაიაროს, მეტიც, ქალებმაც კი.

გასაგებია, ხიდაშელს არაფერი გაეგება სამხედრო საქმისა, მაგრამ სად არიან ქართველი გენერლები, რომლებიც ბოლო ხანს საკმაოდ მოგვიმრავლდნენ? ყველაფერი რომ უგულებელვყოთ, პროფესიული ჯარის შენახვაც ხომ მოსახლეობის მხრებზე გადაივლის. ყველაფერზე დაფიქრება მართებს საღად მოაზროვნე ქართველებს.

* * *

გვიხარია, დასავლეთ ევროპაში მალე უვიზო შესვლა დაკანონდებაო. ვფიქრობ, ეს უფრო საგანგაშოა, ვიდრე გასახარელი. ახლა, როდესაც ძალზე გართულებულია სხვა ქვეყნებში წასვლა და იქ მუშაობა, უამრავი ჩვენი მოქალაქე მაინც ახერხებს საზღვარგარეთ წასვლას და იქ დამკვიდრებას. ასე თუ გაგრძელდა, უმოკლეს დროში ქართველები სანთლით საძებარნი გახდებიან თვით საქართველოში.

საბჭოთა პერიოდის ერთი ანეკდოტი მახსენდებდა: გურულს ჰკითხეს – რას იზამ, საზღვარი რომ გაიხსნას? – გურულმა სხარტად უპასუხა – ხეზე გავალ! გაუკვირდათ – რა გინდა ხეზეო. ესეც ახსნა გურულმა: საზღვრის გახსნის შემთხვევაში, მთელი ხალხი საზღვარს მიაწყდება და გადამქელავენ, ხეზე ასვლა თუ მიხსნის, სხვა გამოსავალი არ მექნება. შემდეგ, როდესაც ხალხი მთლიანად საზღვარგარეთ აღმოჩნდება, ჩამოვალ ხიდან და მეც გულარხეინად გავუყვები საზღვარგარეთ მიმავალ გზასო.

დასავლეთ ევროპაში უვიზო მიმოსვლის შემთხვევაში, ქართველი ხალხი რომ მიაწყდება საზღვარს, – ეს არავისთვის სადავო არ უნდა იყოს. მეორეც, საქართველო გახდება მიმოსვლის დერეფანი აღმოსავლეთ სახელმწიფოების მცხოვრებთათვის. ბევრი მათგანი საქართველოში სამუდამო საცხოვრებელ ადგილს გამონახავს. სწორად მოიქცა ამჟამინდელი ხელისუფლება, როდესაც გაამკაცრა საქართველოში უცხოელების შემოსვლის ნებართვა. მაგრამ რა გამოვიდა: ეგრეთ წოდებულმა ნაციონალებმა, რომლებიც არაფრად დაგიდევენ ერის ინტერესებს, მყისვე განგაში ატეხეს – ამჟამინდელი საქართველოს მთავრობა კარჩაკეტილობისკენ მიისწრაფვის, არ სურს, უცხოელებმა საქართველოში იცხოვრონო. ამ უსამართლო მოწოდებას საზღვარგარეთის ქვეყნებიც გამოეხმაურნენ (რასაკვირველია, უარყოფითად) და ხელისუფლება იძულებული გახდა, კვლავ აღედგინა ძველი წესები.

* * *

საძართველოში ბოლო ხანს (25 წლის განმავლობაში) ყველა ცდილობს, პარლამენტსა და ხელისუფლებაში მოხვდეს, მაგრამ არავინ ფიქრობს იმაზე, თუ რომელი ფორმაცია შეესატყვისება საქართველოს დღევანდელობას. ამ კუთხით პროგრამის შედგენაზე არავის უმუშავია. პოლიტიკაში დასაქმებული ადამიანებისთვის ისიც კი არ არის ცნობილი, რომ თანამედროვე გამოჩენილი თეორეტიკოსები სახელმწიფოებს მოუწოდებენ, რომ ეკონომიკა გადაიყვანონ სახელმწიფო რელსებზე, წინააღმდეგ შემთხვევაში კაცობრიობას კატასტროფა დაემუქრებაო.

ჩვენთან კი ამაყობენ იმით, რომ უმოკლეს დროში მოხდა ყველაფრის განსახელმწიფოებრიობა. პირიქით კი უნდა მომხდარიყო – ყველაფერი უნდა დაქვემდებარებოდა სახელმწიფოს – ამას ჰქვია ეტატიზმი. ჩვენთვის ამჟამად ზედგამოჭრილია დემოკრატიული ეტატიზმი.

უმოკლეს დროში (ასე, 20 წლის განმავლობაში) სახელმწიფოების აბსოლუტური უმრავლესობა ზემოხსენებულ დემოკრატიულ ეტატიზმზე გადავა. ეს იმით არის გამოწვეული, რომ ჩვენს პლანეტაზე დღითი დღე იზრდება მოსახლეობის რიცხოვნობა, ხოლო სასიცოცხლო რესურსები მცირდება. ამ შემცირებულ სასიცოცხლო რესურსებს კერძო ბიზნესი კაცობრიობის თითოეულ ინდივიდზე ისე ვერ გადაანაწილებს, რომ თითოეულ ადამიანს ცხოვრების მინიმალური საშუალება მაინც ჰქონდეს. მომავლის ეს პროგნოზი სხვა სტატიაში სიღრმისეულად მაქვს დამტკიცებული, ამჟამად კი ორიოდე სიტყვით შემოვიფარგლე.

ონისე მწარიაშვილი

◎ ტურიზმი

აზერბაიჯანელი ჟურნალისტები აჭარაში

აჭარის ტურიზმისა და კურორტების დეპარტამენტი აჭარის რეგიონის პოპულარიზაციის მიზნით აქტივობებს განაგრძნობს. საინფორმაციო ტურის ფარგლებში 8 ჟურნალისტია მოწვეული აზერბაიჯანიდან.

ისინი რეიტინგული აზერბაიჯანული ტელეარხებისა და ბეჭდური მედიის წარმომადგენლები არიან. აზერბაიჯანული მედიის წარმომადგენლები ოთხი დღის მანძილზე გაეცნობიან რეგიონის ეკონომიკურ და ტურისტულ პოტენციალს, დაათვალიერებენ ბათუმის ღირსშესანიშნაობებს, ბოტანიკურ ბაღსა და ქედის ღვინის სახლს. ჟურნალისტებს ტურიზმის დეპარტამენტში რეგიონის ტურისტულ პოტენციალზე პრეზენტაცია ჩაუტარეს. პრესტური აზერბაიჯანში მიმდინარე სარკლამო კამპანიის ფარგლებში ხორციელდება.

არაბული ტელეკომპანია საქართველოს შესახებ

არაბთა გაერთიანებული საემიროების ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული ტელეკომპანია საქართველოს ტურისტული მიმართულებების შესახებ გადაცემას ამზადებს, – ამის შესახებ ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციიდან იტყობინებიან. ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ორგანიზებით, არაბთა გაერთიანებულ საემიროებიდან დუბაიდან ტურისტული გასართობი შოუს „ვონჰო მსოფლიოს გარშემო“ 5-კაციანი გადამღები ჯგუფი ეწვია. სამი დღის განმავლობაში ჟურნალისტებმა მცხეთა, სტეფანწმინდა და გუდაური მოინახულეს.

თბილისში სტუმრებისათვის სპეციალურად კულინარიული მასტერკლასი გაიმართა. ჟურნალისტებს ქართული სამზარეულო ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ხელმძღვანელმა გიორგი ჩოგოვაძემ გააცნო.

„ტურისტულ-გასართობი შოუს „ვონჰო მსოფლიოს გარშემო“ აზიის სხვადასხვა სახელმწიფოს, მათ შორის, არაბული ქვეყნების წამყვანი სატელიტური არხებით გადაიცემა. გადაცემის ყურება შესაძლებელია ავია-კომპანიების Emirates Airlines, Qatar Airways, Saudi Air და Korean Air-ის ბორტებზე. შოუს ოც მილიონამდე მაყურებელი ჰყავს და საკმაოდ პოპულარულია სოციალურ ქსელებში“.

ტურიზმის ეროვნული ადმინისტრაციის ინფორმაციით, არაბთა გაერთიანებული საამიროებიდან საქართველოს მიმდინარე წლის 10 თვეში 14737 საერთაშორისო მოგზაური ეწვია, ზრდა წინა წლის ანალოგიურ პერიოდთან შედარებით 762%-ით მეტია.

„არის თუ არა საქართველო მსოფლიოს ღვინის აკვანი?“

ტელეკომპანია CNN-მა საქართველოს შესახებ რეპორტაჟი მოამზადა. ჟურნალისტი სამიმა უდასი საქართველოში იმყოფებოდა, სადაც ღვინის კულტურასა და ქართულ ტრადიციებზე ათწუთიანი ვიდეორგოლი მოამზადა.

CNN-მა რეპორტაჟი გადაცემა „აბრეშუმის გზა: წარსული, ამწყო და მომავლის“ ფარგლებში მოამზადა. ჟურნალისტი თბილისის ძველ ნაწილს სტუმრობს და აღნიშნავს, რომ ქალაქში მრავლად არის წარმოდგენილი ღვინის მაღაზია, ბარი, კაფე და რესტორანი, სადაც ქართული ღვინის დაგემოვნება ნებისმიერ მსურველს შეუძლია.

„აქ ბევრი მიიჩნევს, რომ საქართველო ღვინის სამშობლოა“, – ამბობს ჟურნალისტი და აღნიშნავს, რომ საქართველოში ღვინის კულტურა ათასწლეულებს ითვლის, რაზეც არქეოლოგიური აღმოჩენებიც მიუთითებს.

თბილისის შემდეგ ჟურნალისტი კახეთის რეგიონს, სოფელ წინანდალს სტუმრობს, სადაც ადგილობრივ მეღვინეებს ხვდება და ყურძნის მოკრეფა-დაწურვის პროცესს ესწრება. სამიმა უდასი აღნიშნავს, რომ საქართველოში ღვინის დამზადების ტრადიციული მეთოდები შენარჩუნებულია.

სამიმა სუდასი მაყურებელს ასევე ქართული სუფრის, თამადისა და სადღეგრძელოს ტრადიციებზე მოუთხრობს.

ინტერპრესი

◎ დაპირისპირება

თაფლობის თვე დასრულდა!

ერდოღანი მოქმედებაზე გადავიდა

გაფრთხილების მიუხედავად, რუსეთის სამხედრო თვითმფრინავმა ნატოს წევრი სახელმწიფოს, თურქეთის საჰაერო სივრცე, სირიის მხრიდან დაარღვია და რამდენიმე გაფრთხილების მიუხედავად, ფრენა გააგრძელა, რის შემდეგაც თურქულმა გამანადგურებლებმა F-16-ებმა იგი ჩამოაგდეს.

თურქული მედია წერს, რომ თვითმფრინავი რუსული წარმოების იყო. მედიაში გავრცელდა ვიდეომასალაც, სადაც ჩანს, რომ ორმა მფრინავმა კატაპულტირება მოახდინა. როგორც თურქული „CNN Turk“ იუწყება, თვითმფრინავიდან კატაპულტირებული ერთი პილოტი დაიღუპა, ხოლო მეორე სირიელი თურქმენების შეიარაღებულ დაჯგუფებას ტყვედ ჰყავს აყვანილი.

რუსეთის თავდაცვის სამინისტროში კი აცხადებენ, რომ სირიის ტერიტორიაზე რუსულმა თვითმფრინავმა სუ-24-მა კატასტროფა, სავარაუდოდ, ხმელეთიდან განხორციელებული გასროლის შედეგად განიცადა. უწყების ცნობით, მფრინავთა ბედი მათთვის ჯერჯერობით უცნობია. თავდაცვის სამინისტრო აღნიშნავს, რომ ფრენის დროს თვითმფრინავი სირიის ტერიტორიაზე იმყოფებოდა.

რუსული თვითმფრინავის ჩამოგდების შემდეგ, თურქეთი ნატოსთან კონსულტაციებს იწყებს. თურქეთის პრემიერ-მინისტრმა აჰმედ დავითოღლუმ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრს ფერდინანდ სინირლიოგლუს რუსული სუ-24 ჩამოგდებაზე ნატოს, გაეროსა და ყველა დაინტერესებულ მხარესთან კონსულტაციების გამართვა დაავალა. შესაბამისად, არ არის გამორიცხული ალიანსმა მე-5 მუხლი აამოქმედოს და გააძლიეროს თურქეთის, როგორც ნატოს წევრი სახელმწიფოს თავდაცვითი სისტემა.

ანალიტიკოსების შეფასებით, ის ფაქტი, რომ თურქეთის საჰაერო სივრცის დარღვევა ნატოს კოლექტიური უსაფრთხოების დღის წესრიგშია, ეს მნიშვნელოვანი გზავნილი უნდა იყოს რუსეთის ფედერაციისთვის. ექსპერტები თვლიან, რომ რუსეთი შეგნებულად ახდენს ძალის დემონსტრირებას, რათა თურქეთმა აქტიურობა არ გამოიჩინოს სირიის მიმართულებით.

შეგახსენებთ, რომ რუსულმა სამხედრო თვითმფრინავებმა ნატოს წევრი სახელმწიფოს, თურქეთის საჰაერო სივრცე ოქტომბერში ორჯერ დაარღვია. მაშინ რუსულმა მხარემ ეს ინციდენტი როგორც შემთხვევითობა ისე შეაფასა, რომელიც კრემლის ინფორმაციით, უამინდობით გამოწვეული შეცდომა იყო.

ალიანსმა კი რუსულ მხარეს მოუწოდა, რომ თავი აარიდოს ალიანსთან დაძაბულობას, რადგან იგი თვლის, რომ საჰაერო სივრცის ზედიზედ მეორედ დარღვევა შემთხვევითობას არ ჰგავს.

თავის მხრივ, თურქეთის პრეზიდენტი აფრთხილებდა რუსეთს, რომ თურქეთზე თავდასხმა ნატოზე თავდასხმას ნიშნავდა.

რეჯეფ ტაიპ ერდოღანი თვლის, რომ რუსეთი თურქეთის სახით კარგავს მეგობარს, რომელთანაც ის ბევრ საკითხში თანამშრომლობს და უნდა იცოდეს, რომ ამით ბევრს წააგებს. ჩამოგდებული რუსული თვითმფრინავის გამო, თურქეთში ვიზიტი ჩაშალა საპარლამენტო დელეგაციამ, რომელიც თვის ბოლოს იყო დაგეგმილი. რუსული მედიის ინფორმაციით, თურქეთში დაგეგმილი ვიზიტი შესაძლოა, რუსეთის საგარეო საქმეთა მინისტრმა გადადოს.

რუსეთის სახელმწიფო დუმა თურქეთის ქმედებას „ისლამური სახელმწიფოს“ მხარდაჭერას უწოდებს. კრემლში აცხადებენ, რომ რუსული ბომბდამშენი იმყოფებოდა არა თურქეთის საზღვარზე, არამედ სირიის ტერიტორიაზე იყო. რუსმა პოლიტიკოსებმა უკვე გამოთქვეს საკუთარი მოსაზრება აღნიშნულ ინციდენტთან დაკავშირებით.

რუსეთის სახელმწიფო დუმას საერთაშორისო კომიტეტის წევრის, რუსეთის დუმის ვიცე-სპიკერის ნიკოლაი ლევიჩევის განცხადებით, რუსეთმა აუცილებლად უნდა უზრუნველყოს საკუთარი მოქალაქეების უსაფრთხოება.

„როდესაც მსოფლიო იწყებს სრულფასოვან ბრძოლას ტერორისტების წინააღმდეგ, რომლებიც სირიაში არიან, თურქეთი სოლიდარობას უცხადებს ტერორისტებს და აგდებს ჩვენს თვითმფრინავს. ახლა, უკვე, ნათელია კავშირი ანკარასა და „ისლამურ სახელმწიფოს“ შორის. ჩვენ აუცილებლად უნდა უზრუნველვყოთ ჩვენი მოქალაქეების უსაფრთხოება“, — განაცხადა ნიკოლაი ლევიჩევმა.

„საქართველოს ატლანტიკური საბჭოს“ აღმასრულებელი დირექტორი გიორგი მუჩაიძე ამბობს, რომ რუსეთის მხრიდან ნატოს წევრი სახელმწიფოების საჰაერო სივრცის დარღვევა ტრადიციად იქცა, არა მარტო სამხრეთ მიმართულებით, არამედ იგივე ბალტიისპირეთის ქვეყნების მიმართულებით.

„ალიანსის მხრიდან ბალტიისპირეთის საჰაერო სივრცეში საჰაერო საპოლიციო ოპერაციების დაწყების მიზეზი სწორედ ის იყო, რომ რუსეთი ძალიან ხშირად არღვევდა ბალტიის სამი ქვეყნის საჰაერო სივრცეს. რაც შეეხება თურქეთს, ალიანსის მთავარი ვალდებულებაა კოლექტიური თავდაცვის უზრუნველყოფა. ჯერჯერობით, არ არის ისეთი ვითარება, რომ ამ ფაქტს სერიოზული ქმედითი ნაბიჯი მოჰყვეს ალიანსის მხრიდან.

რუსეთის ქმედებების ანალიზს თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ იზრდება აგრესიული ქმედებები. იგივე, ახლო აღმოსავლეთში განხორციელებულ ავიარეიდებს თუ დავაკვირდებით, ვნახავთ, რომ ამ რეიდების დროს მიზანში ამოღებულია არა ტერორისტული ორგანიზაციების ქვედანაყოფები, არამედ ოპოზიცია, რომელიც იბრძვის სირიის დიქტატორული რეჟიმის წინააღმდეგ. ასე რომ, ძალიან ნათლად შეიძლება გავაანალიზოთ რა სახის ქმედებები ხორციელდება რუსეთის მხრიდან, რა მიზნები ამოძრავებთ და როგორი იქნება მათი მოქმედება მომავალში“, — აცხადებს for.ge-სთან საუბრისას გიორგი მუჩაიძე.

ექსპერტი სოსო ცინცაძე ამბობს, რომ თურქეთსა და რუსეთს შორის თაფლობის თვე მას შემდეგ დასრულდა, რაც მათი ინტერესები ერთმანეთს ვერ დაემთხვა ენერგოშემცველების მარშუტების საკითხში. ამ უთანხმოებამ კი, კულმინაციას მას შემდეგ მიაღწია, რაც მკვეთრად გაიმიჯნა მოსკოვისა და ანკარის ინტერესები ბაშარ ასადთან მიმართებაში.

„თურქეთსა და რუსეთს შორის გაუცხოების ტენდენცია უკვე არსებობს. რუსეთის განცხადება, რომ კატასტროფა განიცადა თვითფრინავმა, მიგვანიშნებს იმაზე, რომ რუსეთს არ სურს პრინციპულ დონეზე დააყენოს ეს საკითხი. მაშინ მან თავი უნდა იმართლოს რატომ დაირღვა საჰაერო სივრცე. ის, რომ თურმე მფრინავს შეეშალა და გზა დაებნა, უკვე არგუმენტი არ არის.

ასეთ შემთხვევაში იბადება კითხვა, რა დონის და რა მომზადების მფრინავები ჰყავს რუსეთს, რომელსაც ზესახელმწიფოს პრეტენზიები აქვს. არ უნდა ველოდოთ იმას, რომ რუსეთი და თურქეთი ღიად დაიკავებენ ერთმანეთთან მიმართებაში რთულ პოზიციას. იქნება გაუცხოება, მაგრამ როგორც კი ასადის პრობლემა გადაწყდება, რუსეთი და თურქეთი კვლავ დაუბრუნდებიან ტრადიციულ საგარეო პოლიტიკურ კურსს“, — აღნიშნა for.ge-სთან საუბრისას სოსო ცინცაძემ.

თამთა ქარჩავა

დედამიწის ზურგზე

საფრანგეთის პრემიერ-მინისტრმა განაცხადა, რომ ევროპას უკვე აღარ შეუძლია ლტოლვილების მიღება

მანუელ ვალსის აზრით, სასაზღვრო კონტროლი ევროკავშირის საგარეო საზღვრებზე უკიდურესად მნიშვნელოვანია ევროკავშირის მომავლისათვის. „თუ ამას არ გავაკეთებთ, ხალხი გვეტყვის: „ევროპა, გეყოფა!“ — განაცხადა საფრანგეთის პრემიერმა.

ერდოღანმა და ობამამ განიხილეს...

ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტმა ბარაკ ობამამ განაცხადა, რომ თურქეთი სუვერენიტეტსა და დაცვის უფლებას იცავენ ამერიკის შეერთებული შტატები და ნატოს მოკავშირეები. ერდოღანთან ერთად მათ გადაწყვიტეს „შეინარჩუნონ გულგრილობა“, რათა შეამცირონ დაძაბულობა საერთაშორისო ურთიერთობებში.

ავღანეთში თალიბებმა ტყვედ აიყვანეს მოლდოვის შვეულმფრენის ეკიპაჟი და მგზავრები

მოლდოვის შინაგან საქმეთა სამინისტროს ინფორმაციის თანახმად, შვეულმფრენს გაუხსნეს ცეცხლი თალიბებმა, რის შემდეგაც იგი იძულებით დაჯდა ფარიაბის პროვინციის ტერიტორიაზე, რომელსაც ტერორისტული ორგანიზაციის „თალიბანის“ ბოევიკები აკონტროლებენ. 18 კაცი აიყვანეს მძევლად, 3 კაცი დაიღუპა შვეულმფრენისათვის ცეცხლის გახსნისა და ტყვედ აყვანის დროს.

ობამა და ოლანდი მოუწოდებენ...

ლიდერებმა ხაზგასმით აღნიშნეს თანამშრომლობის აუცილებლობა, მოილაპარაკეს, გააძლიერონ თავიანთი სამხედრო-საჰაერო ძალების ძალისხმევა სირიაში და მოუწოდეს რუსეთს, მიზანში ამოიღოს სწორედ „ისლამურ სახელმწიფოსთან“ ბრძოლა. ხუთშაბათს გერმანიასა და იტალიაში ვიზიტების შემდეგ ოლანდი გაემგზავრება მოსკოვს ვლადიმერ პუტინთან მოსალაპარაკებლად.

ტუნისში ტერორისტული აქტის შემდეგ, რასაც 12 კაცის სიკვდილი მოჰყვა, 30 დღით შემოღებულია საგანგებო მდგომარეობის რეჟიმი

აფეთქება მოხდა ტუნისის ტურიზმის სამინისტროს და შინაგან საქმეთა სამინისტროს შენობათა მახლობლად. წინასწარი მონაცემებით, თავდასხმა განახორციელა თვითმკვლელმა ტერორისტმა დანაღმულ ავტომობილზე. ტერორისტული აქტის შედეგად დაიღუპა სულ ცოტა 12 კაცი, კიდევ 16 დაიჭრა.

უკრაინა გეპირდება, განაახლოს ელექტროენერგიის მიწოდება ყირიმში ერთი დღის განმავლობაში

უკვე ოთხშაბათს ნახევარკუნძულის ელექტრომომარაგება ნაწილობრივ აღდგება, განაცხადა „უკრენერგოს“ დირექტორის მოვალეობის შემსრულებელმა ვსევოლოდ კოვალჩუკმა. ელექტრობის მიწოდება განახლდება ერთ-ერთი ელექტროგადამცემი ხაზის საყრდენის რემონტის შემდეგ. „უკრენერგოში“ მიაჩნიათ, რომ იგი საშუალებას მისცემს მათ, დააკმაყოფილონ ყირიმის მომხმარებელთა დაახლოებით 40 პროცენტის მოთხოვნილება ელექტროენერგიაზე.

◎ ჩვენ

ძველი და ახალი პარადოქსები

1865 წელს ჟურნალი „ცისკარი“ წერდა: „მთელს საქართველოში მიკიტნანას ვერ იპოვის კაცი, ვერც საქეიფოს, სადაც „დავრიშიანს“, „რუსუდანიანს“, „ყარამანიანს“ და ა. შ. არ კითხულობდნენ“ — ამ დუქნებსა და ჩაიხანებში დილიდან საღამომდე ნამდვილი ლიტერატურული დოღი იყო გამართული, ეს მიკიტნები არ იყვნენ პოეტები, მაგრამ კარგად იცნობდნენ როგორც ჩვენს მწერლებს, ისე ქართული თეატრის მაშინდელ რეპერტუარს (იოსებ გრიშაშვილი „ძველი თბილისის ლიტერატურული ბოჰემა“). თამაშობა, სიმღერა და ლექსების დამღერება ძველად თვით ეკლესიის კარებთან სცოდნიათ „გაშლილ ჰაერზე“.

ტრადიციული საეკლესიო დღესასწაულები მგოსნებს და სახალხო მთქმელებს მახვილსიტყვაობის ასპარეზად ჰქონდათ გადაქცეული. — დღესასწაულებზე საქართველოს ყოველი კუთხიდან იკრიბებოდნენ საეკლესიო მომღერლები და სახალხო მგოსნები და ამ მომღერლების საშუალებით ხალხში გადადიოდა ქართული ლიტერატურის ცოტად თუ ბევრად თვალსაჩინო ნიმუშები. ეს მთქმელები მიუკერძოებლად და ძალდაუტანებლად, დაუნდობლად ამხელდნენ კაცთა ცოდვებს, შესაბამის პატივს მიაგებდნენ სიმართლეს, გონიერებას, შეუბღალავი ხასიათისა და გაუბზარავი სინდისის ადამიანებს და თავიანთი უანგარო შრომით ხალხს აძლევდნენ რჩევა-დარიგებას, სთესავდნენ ახალ იმედებს, ულვიძებდნენ მამულიშვილურ გრძნობას და გმირულ სულს. მეორე მხრივ, მათ მიმართ დიდი მორიდება და შიშიც ჰქონდათ, რომ მრუდე საქმეების გამო არ გაელექსათ ისინი და ლექსების საშუალებით არ მოეფინათ მათი „საქმე-საგმირონი“ მთელი ქვეყნისათვის. ისინი თავიანთ სიტყვას თამამად ამბობდნენ, პირში მთქმელები იყვნენ, ამიტომ ხალხს გამორჩეულად უყვარდა. **აღარაფერს ვამბობ ქართულ სუფრაზე, სადაც სმა-ჭამა შეზავებული იყო სიმღერით, ლექსაობით და მახვილსიტყვაობით. ქართველობა ერთ მთლიან კულტურულ სივრცეს და ზნეობრივ კოლექტივს წარმოადგენდა განსხვავებით სხვა ხალხებისაგან, ამან განაპირობა ის, რომ „გლეხობა — ლაპარაკობდა დარბაისლური, განვითარებული, თავაზიანი წმინდა ქართული ენით, რომელიც აქამდე შეადგენს აშკარა შურის საგანს სხვათათვისო“ დასძენდა იაკობ გოგებაშვილი.**

ქართველი დედები აკვნიდანვე უნერგავდნენ ჩვილებს სამშობლოს სიყვარულს, ასაკოვანთა პატივისცემას და თანაგრძნობას მოყვასის მიმართ. სამშობლოს სიყვარული, მამულიშვილობა ადამიანს დაბადებიდანვე არ დაჰყვება, ისე როგორც მაგალითად, შიმშილის და წყურვილის გრძნობა, ამ გრძნობას აღზრდა სჭირდება. ამიტომ სკოლა ვალდებულია, მოსწავლეებს ცოდნასთან ერთად ჩაუნერგონ მორალური იდეალები, ზნეობრივი რწმენა და მოვალეობის გრძნობა სამშობლოსა და საზოგადოების წინაშე. სხვათა შორის აშშ-ის მოსწავლეები ყოველდღე ფიცს დებენ სახელმწიფო დროშის წინაშე. გვავიწყდება ის უბრალო ჭეშმარიტება, რომ ეკონომიკური აყვავება ერის სულიერი აყვავებით ხდება და ზნეობის ხარჯზე წინსვლა არ არსებობს.

ასე და ამგვარად ჩვენ მამა-პაპათა, ძველების რუდუნებით, სიმღერით, ბრძოლით, ტრადიციების დაცვით დღემდე მოვიტანეთ ჩვენი შინაგანი სახე, ჩვენი სულიერი რაობა და ეროვნული ბუნება.

დღეს კი რას ვხედავთ, გაიარეთ ჩვენს ქუჩებში და დაინახავთ უცხო ენებზე წარწერილ აბრებს, მაღაზიებზე, კვების ობიექტებზე თუ სხვადასხვა დანიშნულების ოფისების კედლებზე. გვავიწყდება, რომ თუ პატივით მოვეპყრობით ჩვენს ენას, ჩვენს მამულს, მაშინ ვერც სხვა გაბედავს მის დამცირებას. ცნობილი მეცნიერი ს. ჰანთინგტონი წიგნში „ვინა ვართ“? წერს: **„თუ შენს ქვეყანაში გზის გასაგნებად ან რაიმე ინფორმაციის მისაგნებად უცხო ენის ცოდნა გჭირდება, მაშასადამე, სამშობლო არ გაქვს.“** ქედი მეტად მოვიხარეთ და ჩვენი ღირსებისა და ვინაობის დაცვის მაგიერ გუნდრუკის კმევა ვარჩიეთ აუწონ-დაუწონავად. ირგვლივ მიჯრით მიწყობილი უსახური შენობები, ინფორმაციული გადაცემების ნეგატიური ველი დამთრგუნველად მოქმედებს თითოეული ჩვენგანის ხასიათზე და სულიერ განწყობაზე. აღიარებული ჭეშმარიტებაა, უსახურობა ბადებს უმსგავსობას, რომაელები დასძენდნენ **„ბრბო ეძახის ქალაქს, კედლებსა და შენობებს, არადა ქალაქი, უპირველეს ყოვლისა, არის ადამიანები, მათი ზნე-ჩვეულებანი და ტრადიციები“,** რასაც ჩვენდა საუბედუროდ ნაკლები ყურადღება ექცევა ჩვენი ქალაქების ცხოვრებაში.

ამ ორიოდე წლის წინათ ჩინეთში სახელმწიფო სამსახურში მყოფ ჩინოვნიკებს ჩაუტარეს გამოცდები ჰუმანიტარულ საგნებში, რის შედეგად მთავრობამ მიიღო სპეციალური დადგენილება. ახალი დადგენილებით ნებისმიერი ჩინოვნიკი ვალდებულია, კვირაში მინიმუმ 5 საათი დაუთმოს კლასიკური მხატვრული ლიტერატურის კითხვას. სახელმწიფოს ყველაზე ძვირად უმეცრება უჯდება — ასეთია საყოველთაოდ მიღებული აზრი.

ჩვენი აზრით ურიგო არ იქნება თუ ნებისმიერი სამკურნალო დაწესებულების, მაღაზიის, ოფისის მისაღებ თუ მოსაცლდელ ოთახებში და ა. შ. პატარა წიგნის თაროს დავკიდებთ და ზედ ათიოდე ქართული სიტყვიერების, იგავ-არაკების, თქმულებების, შაირების, გამოცანების და ა. შ. პატარა ბროშურებს განვალაგებთ. მით უმეტეს, რომ იმ ძვირადღირებულ ტელევიზორებთან შედარებით ეს მიზერულ თანხებთან არის დაკავშირებული.

პორტუგალიის ერთ-ერთი ქალაქის მცხოვრებლები წიგნების შეძენაზე თავს დიდად არ იწუხებდნენ, ამიტომაც ქალაქის ერთ-ერთი წიგნის მაღაზიის მფლობელი დიდ ფინანსურ გაჭირვებას განიცდიდა. ბევრი ფიქრისა და მცდელობის შემდეგ ერთ მშვენიერ დღეს მაღაზიის კართან მახლობელი სოფლიდან ჩამოყვანილი ორი ვირი დააბა, ყელზე ჩამოკიდეუბლი წარწერიანი აბრით. აბრაზე დიდი ასოებით ეწერა „ჩვენ არ ვკითხულობთ წიგნებს“. ვერ გეტყვით, მოქალაქეები რამ უფრო მეტად შეაწუხა: ვირების გამაყრუებელმა ყროყინმა თუ წარწერამ, მაგრამ ფაქტი ფაქტად რჩება, მას შემდეგ მაღაზიის შემოსავალი მნიშვნელოვნად გაიზარდა.

მედეა თავდიშვილი

◎ თხა თხაზე ნაკლები...

ვქმნი ახალ პარტიას!..

მაშ ასე, მეც მინდა, გავერიო მარაქაში, ვქმნი ახალ პარტიას! თხა თხაზე ნაკლები, მგელმა შეჭამაო. ჰოდა, მგელს რად უნდა შევეჭმევინო?

თუ არ ვცდები და ძაან თუ არ მეშლება, დღეს ქვეყანაში 256 (მეტი თუ არა!) პარტიაა. ასე რომ, ამდენი პარტიული ბოსი, ანუ ლიდერია და მე კიდევ...

ისე, მოგეხსენებათ, დემოკრატიაში ვცხოვრობთ, დავბორიალობთ, არჩევანიც დიდია, აი, თუნდაც სოფლის მეურნეობის სამინისტრო კი აცხადებს კონკურსს, მზამზარეულ პროექტს გვთავაზობს კოოპერატივის სახით, მაგრამ იქ ენა კი არ უნდა მოიქავო, ხელი უნდა გაანძრიო, თოხნო, ბარო, მოხნა, პირუტყვს მიხედო... ერთი სიტყვით, საქმე უნდა აკეთო.

აი, პარტია კი სულ სხვა საქმეა, ჩვენი შალიკიასავით ენა თუ გიჭრის, ჭკუა არაა სავალდებულო, ხელისუფლების ლანძღვა-გინება, თუ გეხერხება, გაძრომ-გამოძრომა უნდა შეგეძლოს. მაშინ გახდები მისნაირი მილიონერი. მერე წახვალ აგერ მოყვარე ამერიკაში, შეხვდები მაკ კეინს, დადგები თეთრი სახლის წინ და იძახებ დაუნ დაუნს! ჰოდა, ამერიკა (თავისთავად ევროპაც) თავისიანად მიგიჩნევს.

იმ კოოპერატივს თან ხუთი კაცი სჭირდება, ამდენი თანამოსაქმე თუ არ გყავს, არ გაგაწევრიანებს. აი, პარტიაში კი... ერთი ორი თანამოაზრე თუ გიჭყავის, უკვე პარტია ხარ, შეიძლება არც არავინ გყავდეს, მაგრამ ამას არავინ იკითხავს, აგერ, ჩვენებური არასამთავრობოები ჭილყვავებივით რომ მომრავლდნენ, მათ სამ-სამი კაცი მაინც რომ ჰყავდეთ, საქართველოში დემოგრაფიული პრობლემა არ გვექნებოდა.

მაქვს თუ არა პროგრამა? რა თქმა უნდა მაქვს, მთლიანად საკუთარია-მეთქი, ვერ დავიტრაბახებ, მაგრამ ცოტ-ცოტა სხვებისგან მოვიპარე, წავცანცლეო, რომ იტყვიან (ან ვინაა გამკითხავი?) იმ ასეულ პარტიას, ასე რომ იქაჩებიან ცალ-ცალკე და ყველა ერთად, მაგრამ, როგორც ნაციონალ ავაზაკებს მხოლოდ თვითგანდიდება, ქონების მოხვეჭის სურვილი ამოძრავებთ, თუნდაც ქვეყნის დაქცევის ფასად.

არა, არ ვაჭარბებ. შემიძლია, დავიფიცო, არ დავემსგავსები გოკა გაბაშვილს, ვინმე მაჩვთავა პადოშას, ხომერიკს, მამულს, საკუთარი ხალხის ინტერესებს ყოველდღე რომ ჰყიდიან, გოგორიშვილ-წერეთლიანთ, პარლამენტში ნაციონალებად ჩაჟანგულ-ჩაშავებულთ, სხვათა და სხვათა, ერი და ბერი ფეხებზე რომ ჰკიდიათ. სიტყვას გაძლევთ, არც მათ და არც „ოცნებიდან“ გასხლეტილ ალასანიელებს მივბაძავ. სინდისს არ გავყიდი!

მაშ როგორღა წარმოჩინდებიო, იკითხავთ ალბათ. ჩემი თვალთახედვით, დღეს უპირველესია, ლანძღო და აძაგო ბატონი ბიძინა, ანუ სულაც სტალინი...

ის ხომ გარდაცვლილიაო შემედავებიან, მაგრამ, თუ მართალი გინდათ, მიცვალებული სტალინი კი არა, ისინი არიან, ვინც მას ებრძვიან. თუმცა დღეს ბატონი ბიძინას წინააღმდეგ ენის გაქაფვა უფრო პრაქტიკულია, იყეფე რამდენიც გინდა, ის მაინც თავის საქმეს აკეთებს, ერის გადამრჩენელია, ჰოდა, ყურებზე ხახვსაც ვერ დააჭრი.

მე კი, დიახ, მე და ჩემი პარტია, რა ვუყოთ, ჯერ თუ თანამოაზრე არა მყავს, ამქვეყნად რეგვენს რა გამოლევს, ვიღაც გაებმება ჩემს მახეში. ამასობაში სახელს მოვიხვეჭთ, სხვა რომ არა, შავრაზმელი „რუსთავიორელები“ რომ მიმიწვევენ, და მალაყებენ, ამას წყალი არ გაუვა.

გივი ჯაახუა.

P. S. ჰო, მართლა, უთუოდ დაგაინტერესებთ, რა ერქმევა ჩემს პარტიას. ამაზე ბევრი ვიფიქრეთ. უფრო სწორად, მე ვიმტვრიე თავი. ამაში დიდად წამადგა ნაციონალთაგან განდგომილთა გამომგონებლური ნიჭი! მათ ხომ თავიანთ პარტიას „გირჩი“ დაარქვეს. წყალი არ გაუვა, თავადაც გირჩები არიან და პარტიის სახელწოდებაც მათზე ზედგამოჭრილია.

მე კი ჩემს პარტიას „კირჩხიბი“ დავარქვი — ზოდიაქოს ჩემეული ნიშანი, ჰოდა, კირჩხიბივით გავძვრებ-გამოვძვრები.

ისე კი უნდა ვიჩქარო, თორემ მიშას გამონაცვალი, თახსირი ბარნოვი აპირებს პარტიის შექმნას, ეტყობა, უგრძვნია, რაღაც უბედურება რომ ტრიალებს ნაციონალებში.

ასეა, ხომალდის ჩაძირვას თაგვები პირველნი იგებენ.

გ. ჯ.

◎ ალიან-ჩალიანი

კომერციული ბანკების ოქტომბრის წმინდა მოგებამ 22.2 მლნ ლარი შეადგინა

ეროვნულმა ბანკმა კომერციული ბანკების აქტივების მდგომარეობის შესახებ ინფორმაცია გამოაქვეყნა, რომლის თანახმადაც, 2015 წლის 1 ნოემბრის მდგომარეობით, საქართველოს საბანკო სექტორი 19 კომერციული ბანკითაა წარმოდგენილი; მათ შორის, 17-საწესდებო კაპიტალში უცხოური კაპიტალის მონაწილეობით და 1- უცხოური ბანკის ფილიალით.

სებ-ის ინფორმაციით, წინა თვესთან შედარებით, საქართველოს კომერციული ბანკების მთლიანი აქტივები (მიმდინარე ფასებში) 0.4 მლრდ ლარით, ანუ 1.6 პროცენტით შემცირდა და 24.4 მლრდ ლარი შეადგინა (გაცვლითი კურსის ცვლილების ეფექტის გარეშე ეს მაჩვენებელი 2.0 პროცენტით შემცირდა). საბანკო სექტორის საკუთარი სახსრები 3.4 მლრდ ლარს შეადგენს, რაც კომერციული ბანკების მთლიანი აქტივების 13.8 პროცენტია.

Georgia Oil and Gas Limited

აცხადებს აუქციონს ნედლი ნავთობის გაყიდვაზე

პროდუქცია წარმოდგენილი იქნება ორ ლოტად:

1. ნორიოს ნავთობი — 425 ტონამდე
2. საცხენისის ნავთობი — 270 ტონამდე

აუქციონში მონაწილეობის მსურველებმა დეტალური ინფორმაციის გასაცნობად მოგვმართეთ შემდეგ მისამართზე:

თამარაშვილის ქ. №13ა, სადარბაზო 2, სართული 5, ბ.30

პირობების ელექტრონული ვერსიის მისაღებად ჩვენი ელ. ფოსტის მისამართია: info@georgiaoilandgas.ge

გაცნობებთ, რომ განაცხადების მიღების ბოლო ვადაა 2015 წლის 6 დეკემბერი.

◎ ფარიკაობა

ხმლით მოპოვებული რუსული „ვერცხლი“

რუსეთის დედაქალაქში გამართულ კადეტ მოხმალავეთა სერგეი შარიკოვის სახელობის საერთაშორისო ტურნირში წარმატებით იასპარეზა ნიკა შენგელიამ. ჯგუფური ტურნირის მეორე რაუნდში მან ხუთ მოწინააღმდეგეს აჯობა: ბელარუს მაქსიმ პინჩუკს (5:4), მასპინძლებს — მაქსიმ სიგაევს (5:0), დენის იაშკევიჩს (5:3), ნიკოლაი კორნილოვს (5:2), ვიაჩესლავ ლოზგაჩევს (5:3) და მხოლოდ რომან მელნიკოვს დანებდა, თუმცა მალევე რევანში აიღო: პლეი ოფის პირველსავე შეხვედრაში იგი 15:9 დაჯაბნა. შემდეგ ალექსანდრ ჩარლიგინს (რუსეთი) დააყრევინა ფარ-ხმალი — 15:4, მეოთხედფინალში ნიკას სერგეი კოშეჩკოვი დანებდა — 13:15, ნახევარფინალში ჩვენებურმა ფრანგ ფლორიან შიკელეს სძლია — 15:8 და ფინალში გავიდა, სადაც რუს არსენ პანტელეევთან დაძაბულ პაექრობაში ერთი ჩხვლეტის სხვაობით დამარცხდა — 14:15 და მეორე ადგილს დასჯერდა. ჩვენებურთაგან შეჯიბრებაში კიდევ სამი მოხმალავე მონაწილეობდა: ვაჟა რეჭია 38-ე იყო, ნიკოლოზ ჭეიშვილი - 42-ე, ხოლო ოთარ გიორგაძე — 52-ე.

გოგონებში ადგილები ასე განაწილდა: 1. ალინა მიხაილოვა, 2. მარია სინერი, 3. ანასტასია ელკინა, ანა სმიმოვა (ოთხივე — რუსეთი)... 10. ლიკა ჯიჯიეიშვილი, 40. მარიამ აფციაური, 47. ანა აფრასიძე, 69. ნინი ნიქაბაძე.

გივი გაგუა

სურათზე: მარცხნიდან — ნიკა შენგელია, არსენ პანტელეევი, არსენ სოკოლსკოკი, ფლორიან შიკელე.

◎ სიცოცხლე გრძელდება

„ბაჩოს თასი 2015“ ახალ სპორტის სასახლეში გაიმართა

ახალ სპორტის სასახლეში (უნივერსიტეტის მაღლივ კორპუსთან) ჩატარდა მედია-ფესტივალი „ბაჩოს თასი 2015“, რომელიც წლეულს მეხუთედ გაიმართა. სპორტულმა ჟურნალისტებმა გამარჯვებულები გამოავლინეს ფეხბურთში, 3X3-ზე კალათბურთში და მაგიდის ჩოგბურთში. გოგონებმა ითამაშეს ფეხბურთი და მაგიდის ჩოგბურთი, ვაჟებმა კი პირველობისთვის ფეხბურთში, კალათბურთსა და მაგიდის ჩოგბურთში იბრძოლეს.

ტურნირის ორგანიზატორი იყო სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო, მხარდამჭერები — ფედერაცია „სპორტი ყველასათვის“, ეროვნული ოლიმპიური კომიტეტი, ფეხბურთის ფედერაცია და კალათბურთის ფედერაცია. ღონისძიებას ესწრებოდნენ და ფეხბურთიც ითამაშეს ფეხბურთის ფედერაციის პრეზიდენტმა ლევან კობიაშვილმა, ვეტერანმა ფეხბურთელებმა ლევან ცქიტიშვილმა და ოთარ ხიზანეიშვილმა, მინისტრმა ტარიელ ხეჩიკაშვილმა, პირველმა მოადგილემ აკაკი ლოდიამ. გამარჯვებულები დააჯილდოვა ფედერაცია „სპორტი ყველასათვის“ პრეზიდენტმა მაია აზარაშვილმა.

ფესტივალის მონაწილე ვაჟებისგან დაკომპლექტდა 4 გუნდი — „სარბიელი“, „ბაჩოს მეგობრები“, „სპორტ-მედია“ და „ტელე-მედია“, რომლებმაც ფეხბურთის და კალათბურთის ტურნირში ითამაშეს. ფეხბურთის ფინალში „ბაჩოს მეგობრებმა“ 2:1 აჯობეს „სარბიელს“.

ოთარ მხეიძეს ერგო ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელის პრიზი. ლევან კობიაშვილმა მას საქართველოს ეროვნული ნაკრების მაისურაც გადასცა. მაგიდის ჩოგბურთში ჩემპიონი გახდა პაატა ძნელაძე, რომელმაც ფინალში ზურრაბ წერეთელს სძლია. ძალიან დაძაბული ფინალი გამოდგა და იგი 21:18 დასრულდა. გოგონებს შორის მაგიდის ჩოგბურთში ჩემპიონი გახდა სფფ-ის პრესსამსახურის წარმომადგენელი ეკა ელოშვილი, რომელმაც ფინალში მაგდა კლდიაშვილს აჯობა. კალათბურთში პირველობა მოიპოვა „ტელე-მედიამ“. ამ გუნდმა ფინალში აჯობა „ბაჩოს მეგობრებს“.

ქალების ფეხბურთში ორი გუნდი მონაწილეობდა: „ელოს გუნდი“ და „ბურდულას ანგელოზები“. „ელოს გუნდმა“ პენალტებში გაიმარჯვა. — ძირითადი დრო 0:0 დასრულდა. გამარჯვებულ გუნდებს გადაეცათ თასები, მედლები, სამახსოვრო საჩუქრები და სხვადასხვა პრიზები. ტურნირს ესწრებოდნენ ბაჩოს მეუღლე და პატარა ქალიშვილი, რომლებსაც პრიზი და საჩუქარი შეხვდათ.

„ბაჩოს თასი“ 2010 წლიდან ტარდება და „სარბიელის“ ჟურნალისტის ბაჩო სვანიძის ხსოვნას ეძღვნება. ბაჩო სვანიძეს არაერთი საინტერესო ინტერვიუ ჩაუწერია მსოფლიო სპორტის ვარსკვლავებთან — კრის ევერტთან, გაბრიელა საბატინისთან, მარსელ დესაისთან, ტანა უმაგასთან, ჯორჯ გრეგანთან, ენდრიუ მერთენსთან და არგენტინელ ლეგენდა დიეგო მარადონასთან!

კოგა კოგაახიძე

◎ ჯიუ-ჯიცუ

მხოლოდ ფინალში დამარცხდნენ

პლანეტის 30 ქვეყნის სპორტული ჯიუ-ჯიცუს წარმომადგენლები მონაწილეობდნენ პოლონეთის ქალაქ იავორჟნოში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატში. ისინი ოთხ სახეობაში ეცილებოდნენ ერთმანეთს პირველობას. საქართველოდან (დელეგაციის ხელმძღვანელი — ჯიუ-ჯიცუს აღმოსავლეთ ევროპის საზოგადოების პრეზიდენტი ავთანდილ მიქაძე) გიორგი ობოლაძემ და არკადი ზუბიაშვილმა წყვილთა სპორტულ თავდაცვაში იასპარეზეს. ჩვენებურებმა ზედიზედ დაამარცხეს უნგრელები (გეზა პაშტორი, ადამ მეგუერი), ლიტველები (პაინიუს მაკასი, ანდრიუს კაჯოკე) და რუმინელები (მარტინ იოჰანისი, კლაუს იოზეფი), ფინალური პაექრობა კი პოლონელებთან - ტომას დანკოსა და მარცინ ნადოლცკისთან წააგეს და ვერცხლის მედალს დასჯერდნენ. საქართველოს ჯიუ-ჯიცუს ფედერაცია პირველად მონაწილეობდა მსოფლიოს ჩემპიონატში. ჩვენმა სპორტსმენებმა ზაფხულში პოლონელებთან ერთად იავორჟნოსა და კრაკოვში ერთობლივი საწვრთნელი შეკრება გაიარეს. ჩემპიონატის დაწყებამდეც ერთი კვირით ადრე ესტუმრნენ მასპინძლებს. ჯიუ-ჯიცუს მსოფლიო ფედერაციას სერიოზული მოლაპარაკება აქვს საერთაშორისო ოლიმპიურ კომიტეტთან, რომ ეს დისციპლინა ოლიმპიური თამაშების პროგრამაში შევიდეს, ამიტომაც საქართველოში ამ სახეობის პოპულარიზაციას და განვითარებას დიდი ყურადღება ექცევა. გაისად ჩვენთან აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების მონაწილეობით დიდი საერთაშორისო ტურნირი გაიმართება. შემდეგ ქართველი სპორტსმენები 2016 წლის სალიცენზიო მსოფლიოს ჩემპიონატში გამოვლენ. ეს შეჯიბრება 2017 წლის მსოფლიო თამაშების საგზურებს იძლევა.

ლაშა დიდია

სურათზე: მარცხნიდან — არკადი ზუბიაშვილი, ავთანდილ მიქაძე, გიორგი ობოლაძე.

◎ ფეხბურთი

პროვინციული უძახეთ და...

პროვინციული ბელარუსული კლუბი ბატე უკვე მეხუთედ(!) თამაშობს ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ რაუნდში და, თქვენ წარმოიდგინეთ, პლეი-ოფში მეორედ გასვლის შანსს ინარჩუნებს.

რამდენიმე წლის წინათ ბორისოვოელებმა თვით მომავალ ტრიუმფატორ მიუნხენის „ბაიერნს“ ჩაუტარეს დაუვიწყარი გაკვეთილი, ხოლო მიმდინარე გათამაშებაში თავიანთ კოპწია 13-ათასიან სტადიონზე იტალიის სერია-ა-ს ერთ-ერთ ჯილა „რომა“ დაიბრიყვეს.

მასპინძლები ამჯერადაც ახლოს იყვნენ მიზანთან ევროპული ფეხბურთის კიდევ ერთ გრანდთან — ლევერკუზენის „ბაიერთან“ ბრძოლაში, რომელთანაც პირველივე შეტევა გორდეიჩუკის კურიოზული გოლით დაასრულეს (ბურთი ფეხებშუა გაუძვრა მრისხანე მეტოქის მეკარე ლენოს). ბუნდესლიგის ბინადრებს ერთი საათი და დიდი ძალისხმევა დასჭირდათ, რომ ლუკაშენკოს სამფლობელოდან ქუდლა წაეღოთ (მეჰმედი) — 1:1.

ტურის მთავარი მოვლენები ამავე „ე“ ჯგუფის მეორე შეხვედრაში განვითარდა, სადაც ტურნირის ფავორიტმა „ბარსელონამ“ ფეერიული სპექტაკლი დადგა რუდი გარსიას გუნდთან — 6:1. შეგახსენებთ, რომ კატალონიელთა თავკაცი ლუის ენრიკე სამწვრთნელო კარიერის დასაწყისში სწორედ რომაელებს ავარჯიშებდა და მარადიული ქალაქი უსახელოდ დატოვა, ასე რომ, „კამპ ნოუზე“ გამართულ მატჩს სიმბოლური დატვირთვაც ჰქონდა.

მართალია, რამდენიმე დღით ადრე „რეალთან“ გადატანილი ძლევამოსილი „ელ კლასიკოს“ შემდეგ დამრიგებელმა ინიესტა დაასვენა, მაგრამ მესი-სუარეს-ნეიმარის ტრიო ამჯერადაც შეუდარებელი იყო. მალე „ბლაუგრანა“ მსოფლიოს საკლუბო ჩემპიონატში დაიცავს „ძველი სამყაროს“ სპორტულ ღირსებას, ახალი წლიდან კი, როცა სატრანსფერო ფანჯარა გაიხსნება, შევსებასაც მიიღებს.

თუ გავითვალისწინებთ, რომ თურქი არდა თურანი კარგახანია კატალონიელთა საკუთრებაა და სეზონის განახლებისთანავე მათ შემადგენლობას უფრო გააძლიერებს, კიდევ უფრო აქტუალური გახდება კითხვა: ვინ შეაჩერებს „ბარსელონას“?

V ტურის დანარჩენი შედეგები: „ზენიტი“ — „ვალენსია“ 2:0, „ლიონი“ — „გენტი“ 1:2, „ბაიერნი“ — „ოლიმპიაკოსი“ 4:0, „არსენალი“ — ზაგრების „დინამო“ 3:0, „პორტუ“ — კიევის „დინამო“ 0:2, „მაკაბი“ — „ჩელსი“ 0:4.

გიორგი ზოთაძე

◎ ვითომ?

ბენიტესი: რონალდუსთან პრობლემები არ მაქვს

მადრიდის „რეალის“ მთავარმა მწვრთნელმა რაფაელ ბენიტესმა კლუბის პრეზიდენტს ფლორენტინო პერესს ნდობისთვის მადლობა გადაუხადა და აღნიშნა, რომ რონალდუსთან პრობლემები არ აქვს.

„ბარსელონასთან“ „სანტიაგო ბერნაბეუზე“ წაგებული (0:4) მატჩის შემდეგ კლუბის ხელმძღვანელმა ესპანელ სპეციალისტს მხარდაჭერა გამოუცხადა, ევროპულ მედიაში გავრცელებული რონალდუს კომენტარის თანახმად კი, თუ ბენიტესი „რეალში“ დარჩება, პორტუგალიელი გუნდიდან წასვლას დააპირებს.

„ჩემი გუნდი ერთ მუშტადაა შეკრული. მადლობა პრეზიდენტს თანადგომისთვის. ჩვენ უკვე გავაანალიზეთ შეცდომები და მინდა სტარტზე მილებული პოზიტიური ემოციებით გავაგრძელოთ სეზონი. კრიშტიანუ რონალდუ დიდებული ფეხბურთელია, გუნდის მთავარი მოთამაშე და მასთან პრობლემა არ მაქვს.“ — ციტირებს ბენიტესის სიტყვებს AS-ი.

გეჟან დოლიძე

◎ კალათბურთი

ზაზას მეცხრე ორმაგი დუბლი

თამამად შეგვიძლია განვაცხადოთ, რომ საქართველოს ნაკრების კაპიტანი ზაზა ფაჩულია ნაციონალური საკალათბურთო ასოციაციის ერთ-ერთი საუკეთესო კალათბურთელია. ამის თქმის საშუალებას ის გვაძლევს, რომ მიმდინარე სეზონში 15 თამაშიდან ზაზამ 9 შეხვედრაში ორმაგი დუბლი შეასრულა. ფაჩულია ორმაგი დუბლების რაოდენობით წლევანდელ სეზონში მესამე ადგილზეა და მას ანდრე დრამონდი — 13 და რასელ ვესტბრუკი უსწრებენ — 10.



ზაზამ თავისი მეცხრე ორმაგი დუბლი მემფისში გაიფორმა, სადაც „დალასი“ 96:110 დამარცხდა. ფაჩულიამ პარკეტზე 28 წუთი და 22 წამი დაჰყო. ამ დროში მან გუნდს 13 ქულა, 10 მოხსნა, 3 პასი და 1 ჩაჭრა შესძინა. ტეხელთა ცენტრმა 5-დან 2 ორქულიანი და 10-დან 9 საჯარიმო სროლა ჩააგდო.

რაც შეეხება უშუალოდ შეხვედრას, „მემფისი“ სტარტზევე დაწინაურდა და შეხვედრის ბოლომდე უპირატესობა არ დაუკარგავს. მემფისელთა რიგებში 21-21 ქულით გრინი და კონლი გამოირჩნენ. „დალასში“ ფაჩულიას მსგავსად ორმაგი დუბლი გერმანელმა დირკ ნოვიცკიმ შეასრულა — 14 ქულა, 10 მოხსნა.

„დალასი“ 9 მოგებით და 6 წაგებით დასავლეთ კონფერენციაში მეოთხე ადგილზეა. გუნდი მომდევნო შეხვედრას დღეს გასვლაზე „სან ანტონიოს“ წინააღმდეგ გამართავს.

ვიტალი ჯაფარიძე

◎ ენა, ჩვენი ქართული

რატომ გვერევა ერთმანეთში მატარებელი და შემცველი?

ერთ ოფიციალურ საპროგრამო დოკუმენტში ნათქვამია: „ენერგეტიკული პოლიტიკის უმთავრეს ამოცანას წარმოადგენს **ენერგომატარებლების** (ხაზგასმა აქ და სხვაგან ჩვენია. — **ავტ.**) მიწოდების წყაროების ხარჯზე... ენერგეტიკულ რესურსებზე მოთხოვნის... დაკმაყოფილება“: ერთ-ერთ გაზეთშიც ასე ეწერა: „რუსეთს დღეს შეუძლია მსოფლიოს შესთავაზოს დიდი რაოდენობის **ენერგომატარებლები“**.

მაგალითი ორია. ამ სიტყვის უადგილოდ ხმარების შემთხვევა კი — უამრავი. განსაკუთრებით უხვად იხმარება იგი ახლა, როცა მსოფლიოში მწვავედ დგას ენერგეტიკული უშიშროების საკითხი, და თუ ასე გაგრძელდა, სატკივარს ვეღარ მოვიშორებთ.

ერთხელ კიდევ გვინდა ხაზი გავუსვათ, რომ აქ ლაპარაკია სიტყვის უადგილოდ **ხმარებაზე** და არა იმაზე, რომ იგი დასაწუნია და უნდა გავიმეტოთ. ვერ გავიმეტებთ იმიტომ, რომ ენერგეტიკული მატარებელი, **ენერგომატარებელი** (შდრ., энергопоезд) ნიშნავს **მოძრავ ელექტროსადგურს,** უპირატესად თბოელექტროსადგურს, რომლის მოწყობილობა დადგმულია გემზე, რკინიგზის ბაქანზე, ავტომობილის შასიზე და სხვ. აქ, ბუნებრივია, ჩნდება კითხვა: როგორ გინდა მიაწოდო მომხმარებელს მილსადენით (ნავთობსადენით, გაზსადენით), ცისტერნებით, ტანკერებით ენერგომატარებელი ანუ მოძრავი ელექტროსადგური?

დასკვნა მხოლოდ ასეთი შეიძლება იყოს: ეს კომპოზიტი, რომელიც ერთ კონკრეტულ ცნებას გამოხატავს, სხვა მნიშვნელობით **არ უნდა იხმარებოდეს:**

რაღა ვუყოთ, იკითხავთ ალბათ, ზემოთ მოყვანილ წინადადებათა წევრ სიტყვას — ენერგომატარებლებსო.

ამ კითხვას რომ ვუპასუხოთ, მივმართოთ ერთ-ერთ ნაცად ხერხს — მოვიყვანოთ ორიოდე მაგალითი რუსულად შედგენილი ტექსტიდან: „нестабильность на Ближнем Востоке может привести к резким колебаниям цен на **енергоносители“**; „ЕС в настоящее время импортирует 50% необходимой ему

энергии. Если не будут приняты меры, в предстоящие 30 лет доля импорта **енергоносителей** возрастет до 70%, при этом 45% импорта **нефти** будет приходиться на Ближний Восток и 40% импорта **газа** _ на Россию“.

პირველი მათგანი მიგვანიშნებს, კერძოდ, სიტყვის ზოგად მნიშვნელობაზე — енергоноситель, მეორეში კი დაკონკრეტებულია, რას გულისხმობს იგი. ჩვენს შემთხვევაში ეს არის ნავთობი და გაზი. თუ მხედველობაში არ მივიღებთ განახლებადი ენერგიის წყაროებს (მზე, ქარი, წყალი, აგრეთვე ურანი), ამ რიგისაა ასევე ქვანახშირი, შუშა და მისთ.

მაშასადამე, რაკი გავარკვიეთ, რომ ენერგომატარებელი სულაც არ ყოფილა გაზი, ნავთობი, ქვანახშირი და სხვ., უნდა ვიპოვოთ რუსული енергоноситель სიტყვის შესაბამისი ტერმინი. ამაში კი დაგვეხმარებიან ლექსიკონები, კერძოდ, „ტექნიკური ტერმინოლოგია“ და „სამრეწველო საწარმოს ორგანიზაციისა და დაგეგმვის ტერმინოლოგია“. თუ ამ წყაროებში ჩავიხედავთ (შიგ კი ყოველთვის უნდა ვიყურებოდეთ!), აღმოვაჩენთ, რომ ჩვენთვის საინტერესო ტერმინის ქართული შესატყვისი ყოფილა ერთადერთი ფორმა: **ენერგიაშემცველი.**

აი პასუხი ზემოთ დასმულ კითხვაზე და ნორმა, რომელსაც განუხრელად უნდა ვიცავდეთ, როცა საქმე ეხება ბუნებრივ რესურსებს, რომელთა მოპოვება-გადამუშავების შედეგად ვიღებთ ენერგიას.

ოთარ კაპანაძე

ვიტალი ხაზარაძე ოჯახით მწუხარებას გამოხატავს

ვოვა ქარსელაძის

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს განსვენებულის ოჯახს.

დარეჯან ელიაძე, მევლუდ დუნდუა, რაულ ხუჭუა, კახა კუპრავა ოჯახებით დიდი გულისტკივილით იუწყებიან უახლოესი ადამიანის, კეთილშობილი პიროვნების

დინარა კოზმავას

გარდაცვალებას და სამძიმარს უცხადებენ ახლობლებს.

მარინა კანდელაკი მწუხარებას გამოხატავს ღირსეული ქალბატონის

დინარა კოზმავას

გარდაცვალების გამო და სამძიმარს უცხადებს ბაია, ემა, ანზორ შენგელიებს და მათი ოჯახის წევრებს.

განცხადება

აუქციონის ჩატარების შესახებ

საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 306-306'6 მუხლების საფუძველზე სპეციალისტი შპს „ემჯი ჰოლდინგი“ კრედიტორ ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯიას“ განცხადების საფუძველზე ატარებს პირველ აუქციონს მარია კოხიას და ხვიჩა მაქაცარიას საკუთრებაში არსებულ იპოთეკით დატვირთულ უძრავ ქონებაზე.

აუქციონი ტარდება შემდეგი პირობებით:

1. **უძრავი ნივთის მესაკუთრეები:**
მარია კოხია (პ/ნ 62014007643), თბილისი, შმიდტის (ბურძგლას) ქ. №112;
ხვიჩა მაქაცარია (პ/ნ 62005003653), თბილისი, შმიდტის (ბურძგლას) ქ. №112.

უძრავი ნივთის ადგილმდებარეობა და მოკლე აღწერა:
ქ. თბილისი, შმიდტის (ბურძგლას) ქ. №112/ქ. თბილისი, შმიდტის (ბურძგლას) ქ. №112/ქ. თბილისი, შმიდტის (ბურძგლას) ქ. №112/ქ. თბილისი, შმიდტის (ბურძგლას) ქ. №112/ქ. თბილისი, ბურძგლას (შმიდტის) ქ. №110/ქ. თბილისი, შმიდტის (ბურძგლას) ქ. №112, მიმდებარედ (ნაკვეთი 20/061)/ქ. თბილისი, ბურძგლას ქ. №112, მიმდებარედ (ნაკვეთი 20/062)/ქ. თბილისი, შმიდტის ქ. №112 (საკადასტრო კოდი: 01.10.15.020.081).

უძრავი ნივთის სამართლებრივი მდგომარეობა: უძრავ ნივთზე რეგისტრირებულია შემდეგი შინაარსის გარდამავალი ვალდებულებები:

საგანი: მიწის ნაკვეთი ფართით 421კვ.მ., (შეზღუდვა — დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე);
საგანი: მიწის ნაკვეთი ფართით 234კვ.მ., (შეზღუდვა — დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე).

2. **უძრავი ნივთის საწყისი ფასი:** 2 438 469,28 ლარი;
3. **აუქციონის დაწყების დრო:** 2015 წლის 7 დეკემბერი, 10:30 საათი;
4. **აუქციონის ჩატარების ადგილი:** ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

5. **მოვალეები:**
შპს „მირზაანი“ (ს/კ 401944848), თბილისი, წინამძღვრიშვილის №10/14;
მარია კოხია (პ/ნ 62014007643), თბილისი, ბურძგლას ქ. №112;
ხვიჩა მაქაცარია (პ/ნ 62005003653), თბილისი, ბურძგლას ქ. №112.

6. **აუქციონის ჩამტარებელი სპეციალისტის სახელწოდება და მისამართები:** შპს „ემჯი ჰოლდინგი“ (ს/კ 204572284), იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, საირმის ქ. №10, ბინა 31; ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3;

7. **აუქციონის პირობები:**
● აუქციონში მონაწილეობის მიღების უფლება აქვს ნებისმიერ პირს, მათ შორის, კრედიტორს, მოვალეს და მესაკუთრეს;
● მესაკუთრეს ან ნებისმიერ პირს მესაკუთრესთან შეთანხმებით ან/და მესამე პირს, რომლის უფლებაც შეიძლება შეილახოს აუქციონის შედეგად, უფლება აქვს, აუქციონის ჩატარებამდე მოთხოვნის დაკმაყოფილებით თავიდან აიცილოს აუქციონი;
● აუქციონში მონაწილეობის მსურველმა, აუქციონის დაწყებამდე უნდა წარმოადგინოს საბანკო გარანტია უძრავი ნივთის საწყისი ფასის 10%-ის ოდენობით, რომელიც უნდა უზრუნველყოფდეს აუქციონში გამარჯვების შემთხვევაში თანხის სრულად გადახდას. საბანკო გარანტიის ბენეფიციარი უნდა იყოს კრედიტორი — ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“.
● აუქციონში გამარჯვებული პირი ვალდებულია, ქონების შეძენიდან 7 დღის ვადაში სრულად გადაიხადოს უძრავი ნივთის ღირებულება, რომელიც უნდა შეიტანოს შპს „ემჯი ჰოლდინგის“ საბანკო ანგარიშზე (1. ს/ს „ვითიბი ბანკი ჯორჯია“, ანგარიშის ნომერი GE59VT6600000007283602 ან 2. ს/ს „თიბისი ბანკი“, ანგარიშის ნომერი GE17TB1188736020100003). წინააღმდეგ შემთხვევაში აუქციონის შედეგები გაუქმდება და ჩატარდება ხელახალი აუქციონი. აუქციონში გამარჯვებულ პირს ქონებაზე საკუთრების უფლება წარმოეშობა ფასის სრულად გადახდის შემდეგ.

ნებისმიერ პირს, ვისაც გააჩნია უფლებები სარეალიზაციო უძრავ ქონებაზე, ვალდებულია ამ უფლებათა დამადასტურებელი მტკიცებულებები წარმოადგინოს 2015 წლის 7 დეკემბრის 10:30 საათამდე, შემდეგ მისამართზე: ქ. თბილისი, გერგეთის ქ. №3.

რეკლამა მაჩაბლის ქ. №7.
293-37-87

◎ გამოფენა

„საქართველოს პირველი რესპუბლიკა“

საქართველოს იუსტიციის მინისტრმა თეა წულუკიანმა, ქუთაისის მერმა შოთა მურღულიამ და იმერეთის გუბერნატორმა გივი ჭიჭინაძემ, „თიბისი გალერეაში“ გამოფენა „საქართველოს პირველი რესპუბლიკა“ გახსნეს.

საქართველოს პირველი რესპუბლიკის შესახებ მრავალფეროვანი და ფართომასშტაბიანი გამოფენა იუსტიციის მინისტრის ინიციატივით მომზადდა. ამ გამოფენაზე 1918-1921 წლების ისტორიის ამსახველი საარქივო მასალების ნაწილი საზოგადოებისათვის პირველად არის წარდგენილი, მათ შორისაა, ერთა ლიგაში საქართველოს წარმომადგენლის ხარიტონ შავიშვილის არქივი.

გამოფენა მოიცავს ეროვნულ არქივში დაცულ წერილობით და ფოტომასალას საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ პირველი რესპუბლიკის სამწლიან პერიოდში (1918-1921 წწ.) და დაყოფილია თემებად: საქართველოს დამოუკიდებლობის აქტი და სახელმწიფო ატრიბუტიკა; პირველი არჩევნები, საქართველოს დამფუძნებელი კრება და საკანონმდებლო საქმიანობა; სახელმწიფო და ეკლესია; საგარეო ურთიერთობები; შეიარაღებული ძალები; საზოგადოებრივი ცხოვრება; დამოუკიდებლობის დაკარგვა; ხარიტონ შავიშვილი. გამოფენილი იქნება 63 ფოტო და წერილობითი დოკუმენტების ფოტორეპროდუქცია.

საქართველოს ისტორიის ეს მოკლე მონაკვეთი გამორჩეულია იმით, რომ აღდგა 117 წლით ადრე გაუქმებული სახელმწიფოებრივი დამოუკიდებლობა და ჩამოყალიბდა დამოუკიდებელი საქართველოს მთავრობა; ასევე, 1919 წელს ჩატარდა უმაღლესი საკანონმდებლო ორგანოს — დამფუძნებელი კრების არჩევნები, რომელშიც მონაწილეობა ორივე სქესის ამომრჩევლებმა მიიღეს; კანდიდატებად დარეგისტრირებული ოცამდე ქალიდან კი დამფუძნებელ კრებაში ხუთმა ქალმა დაიკავა ადგილი; მიღებულ იქნა პროგრესული სამართლებრივი აქტი - საქართველოს დემოკრატიული რესპუბლიკის კონსტიტუცია. სამწლიანი დამოუკიდებლობის პერიოდი რუსეთის მიერ საქართველოს დაპყრობით დასრულდა და დემოკრატია ჩვენს ქვეყანაში დროებით დამარცხდა. საქართველოს მთავრობა და დამფუძნებელი კრების წევრთა უმრავლესობა 1921 წელს ემიგრაციაში, საფრანგეთში წავიდა.

გამოფენისათვის შექმნილია სპეციალური კატალოგი.

გამოფენა 12-დან 31 ოქტომბრის ჩათვლით თბილისში, დიმიტრი შევარდნაძის სახელობის ეროვნული გალერეაში იყო წარმოდგენილი, 6-20 ნოემბერს, ექსპოზიციას თელავის რეგიონულმა არქივმა უმასპინძლა, 25 ნოემბრიდან 13 დეკემბრამდე კი ქუთაისში იქნება გამოფენილი.

14 დეკემბერიდან გამოფენა ბათუმში „თიბისი გალერეაში“ გადაინაცვლებს.

◎ საინტერესო ამბების სამყაროში

შავი იუმორი — მოახლოებული მოხუცებულობის გონებასუსტობის ნიშანია

მკვლევარებმა აღმოაჩინეს, რომ დემენციანი პაციენტების ნათესავები აღნიშნავდნენ: ავადმყოფები იცინოდნენ ტრაგიკულ მოვლენებზე დიაგნოზის დასმამდე რამდენიმე წლის განმავლობაში. მომწიფებულ ადამიანებში ხასიათის ასეთი უცნაური თვისებების აღმოჩენის შემთხვევაში მეცნიერები გვირჩევენ დაუყოვნებლივ მივმართოთ ექიმს.

გამორჩეულ ადამიანებს უფრო ხშირად აწუხებთ დეპრესია

ადამიანები, რომლებსაც ბავშვობაში დედასთან ჰქონდათ მჭიდრო ემოციური კავშირი, მოზრდილ ასაკში უფრო ხშირად უჩივიან დეპრესიულ სიმპტომებს. მათ აწუხებს კონფლიქტები, გაწბილებები ურთიერთობებში და მარტოსულობა. მეცნიერებს მიაჩნიათ, რომ დეპრესიის ფესვები ახალი პარტნიორებისაგან გადაჭარბებულ მოლოდინებშია.

საოჯახო კვება მე-2 ტიპის დიაბეტის განვითარების რისკს ამცირებს

ექსპერიმენტის დროს გაირკვა, რომ მოხალისეებს, რომლებიც ყოველდღე მიირთმევდნენ ორ და მეტ ოჯახურ კერძს (დაახლოებით 11-14 კვირაში) მე-2 ტიპის დიაბეტი უვითარდებოდათ 13 პროცენტით უფრო იშვიათად, ვიდრე მათ, ვინც კვირაში მოიხმარდა სახლში მომზადებულ ექვს კერძზე ნაკლებს.

მეცნიერებმა მონახეს გამელოტებისაგან ახალი ეფექტიანი წამალი

ართრიტის სამკურნალო პრეპარატის გამოცდის დროს მკვლევარებმა აღმოაჩინეს მისი უცნაური თანმდევი მოქმედება — თმების გაძლიერებული ზრდა. საცდელ ვირთხებს ახალი წამლის მიღების 10 დღის განმავლობაში წამოეზარდათ ახალი ბეწვი. ახლა უნდათ პრეპარატი გამოსცადონ, როგორც გამელოტების სამკურნალო საშუალება ადამიანებზე.

რუსეთელები უკვე ნაკლები ოდენობის შოკოლადს ჭამენ

2015 წელს ქვეყნის ყოველი მცხოვრები საშუალოდ 4 კილოგრამ შოკოლადს მიირთმევს. ეს თითქმის 10 პროცენტით ნაკლებია, ვიდრე წინა წელს. ასევე შემცირდა ტორტისა და ღვეზელის მოხმარება. თუმცა აღმოჩნდა, რომ ხალხი ნაკლებ ტკბილეულს ჭამს არა ტანწერწეტობის გამო, არამედ იმის გამო, რომ ეს პროდუქცია გაძვირდა.

◎ ჩვენი კარაბადინი

„სწორად“ დავსხივდეთ

ზოგს მიაჩნია, რომ კომპიუტერული ტომოგრაფია — ეს, ერთგვარად, „მინი-ჩერნობილია“. ამასთან, ბევრს, ზოგჯერ წელიწადში რამდენჯერმე უწევს რენტგენოსკოპიის გავლა. კითხვაზე პასუხს, თუ რამდენად უსაფრთხოა ჯანმრთელობისთვის ასეთი დასხივება, პასუხობს მოსკოვის სახელმწიფო უნივერსიტეტის პროფესორი, მედიცინის მეცნიერებათა დოქტორი სიმონ მაწკეპლიშვილი:

— სამედიცინო რადიაცია — დედამიწაზე ამ ტიპის გამოსხივების (მზის შემდეგ), სიმძლავრით მეორე წყაროა, — ამბობს პროფესორი მაწკეპლიშვილი. — გარემოსა და ადამიანზე ზემოქმედებისდა მიხედვით, **მან დიდი ხანია გადაფარა ყველა ატომური სადგურის, რადიაქტიურ ნარჩენთა განამარხების და ა. შ. გამოსხივება. ყველაზე უარყოფითად რენტგენული გამოსხივება სისხლისა და სქესობრივ უჯრედებზე ზემოქმედებს. კომპიუტერული ტომოგრაფია კი რენტგენურ გამოკვლევათა ყველა ძლიერმოქმედი სახეობაა.**

გამოსხივების დოზით, კომპიუტერული ტომოგრაფია 1200 სტანდარტული რენტგენის (მაგალითად, ფილტვების რენტგენოგრაფიის) ტოლფასია. კომპიუტერული ტომოგრაფიის ჩატარება მკაცრად არგუმენტირებულად უნდა იყოს დასაბუთებული და, რომელიმე მეტ-ნაკლებად საეჭვო შემთხვევაში, არ უნდა ჩაუტარდეს განსაკუთრებით ახალგაზრდა პაციენტებსა და ქალებს. წელიწადში რადიაციის მაქსიმალურად დასაშვები ეფექტიანი დოზაა 150 მზვ, მაგრამ იგი მხოლოდ იმ ხალხმა უნდა მიიღოს, ვინც რეგულარულ რენტგენოლოგიურ კონტროლს საჭიროებს (მძიმე ტრავმების შემდეგ და სხვ.). ხოლო თუკი პაციენტი მხოლოდ ჩვეულებრივ დიაგნოსტიკურ გამოკვლევებს ჩაიტარებს — ფლიუროგრაფიას, მამოგრაფიას, სტომატოლოგთან რენტგენს და სხვ. — მაშინ წელიწადში მას მხოლოდ 15 მზვ მოუგროვდება.

ადამიანის პაპილომის ვირუსი ციფრებსა და ფაქტებში

5 მვარს, 43 სახეობას და 170-ზე მეტ ტიპს მოიცავს ვირუსების ჯგუფი პაპილომავირუსების ოჯახიდან.

მოსახლეობის 60-ზე მეტი პროცენტი არის ადამიანის პაპილომის ვირუსის მატარებელი.

ადამიანის პაპილომის ვირუსი გადადის მხოლოდ ადამიანიდან ადამიანზე. გადაცემის

ძირითადი გზა — არის სქესობრივი, თუმცა ვირუსს შეუძლია გარკვეული დროის განმავლობაში იარსებოს ტუალეტებში, აბანოებში, აუზებში და შეიჭრას ადამიანის ორგანიზმში დანაბეჟიდან და ნაკაწრიდან.

ადამიანის პაპილომის ვირუსის ნაწილაკები იმდენად პატარებია, რომ სქესობრივი კონტაქტის დროს პრეზერვატივები ვერ იცავენ მათ გადაცემისგან 100 პროცენტით.

დაახლოებით 75 პროცენტს შეადგენს ადამიანის პაპილომის ვირუსით მოწამვლის ალბათობა დაუცველი სექსის ერთი ეპიზოდის დროს ამ ინფექციის მატარებელთან.

0,5 თვიდან რამდენიმე წლამდე გრძელდება საინკუბაციო პერიოდი.

ადამიანის პაპილომის ვირუსის 100-ზე მეტი სახეობაა ცნობილი დღეისათვის. მათგან 40-ზე მეტს შეუძლია წვეტიანი კონდილის გაჩენა სასქესო ორგანოებზე და ანალური ხვრელის გარშემო. ამ მეჭეჭების ნაწილი უვნებელია, სხვები იწვევენ კიბოს.

ადამიანის პაპილომის ვირუსს პირობითად სამ ძირითად ჯგუფად ჰყოფენ: რომლებიც არ იწვევენ კიბოს (ამ ვირუსის 1-ლი, მე-2, მე-3, მე-5 ტიპები), იშვიათად იწვევენ კიბოს (მე-6, მე-11, 42-ე, 43-ე, 44-ე ტიპები), ხშირად იწვევენ კიბოს (მე-16, მე-18 ტიპები).

მე-16 ტიპის შემთხვევების 41-54 პროცენტს მივყავართ კიბოსთან.

პაპილომის ვირუსით დაავადებული ადამიანების 90 პროცენტზე მეტს (და აქვთ წვეტიანი კონდილები) უვლინდებათ მე-11 და მე-6 ტიპის ნაკლებად სახიფათო ვირუსები.

ამჟამად არსებობს წვეტიანი კონდილების მოშორების უამრავი სხვადასხვაგვარი მეთოდი, თუმცა არც ერთს არ შეუძლია მოგვცეს გამოჯანმრთელების 100-პროცენტიანი გარანტია.

შემთხვევების 90 პროცენტში ორგანიზმი თავს აღწევს ვირუსს დამოუკიდებლად 1-2 წლის განმავლობაში.

ამერიკის შეერთებულ შტატებში დაამუშავეს ვაქცინა, რომელიც ეფექტიანია ადამიანის პაპილომის ვირუსის ოთხი ტიპის წინააღმდეგ. ვაქცინაციას უკეთებენ გოგონებს 11-12 წლიდან. ოთხმა ქვეყანამ, მათ შორის ამერიკის შეერთებულმა შტატებმა და კანადამ, შემოიღეს ბიჭების ვაქცინაციაც ამ ვირუსის მატარებელთა შემცირების მიზნით.

პაციენტთა საყურადღებოდ!

ეს არ არის **რეკლამა!** სამედიცინო რეკლამა მისი უხეირობის ნიშანია. ეს მხოლოდ **ინფორმაციაა...**

პროფესორი არჩილ ხომასურიძე თავის გუნდთან ერთად აგრძელებს იოსებ ჟორდანიას დაწყებულ საქმეს ახალ „რეპროდუქტოლოგიის ინსტიტუტში“, თბილისი, 0112, თევდორე მღვდლის 13. ტელ: (995 32)224 00 99, 224 00 98.

ყურადღება!

დიდ დიღომში, „იმედის“ კლინიკის სიახლოვეს, იყიდება 1400 კვ. მეტრი მიწის ნაკვეთი, რომელიც კაპიტალურად არის შემოღობილი და განაშენიანებული სხვადასხვა სახეობის ასამდე მსხმოიარე ნარგაობით (შეიძლება ნაკვეთის დაყოფა). ნაკვეთთან მიყვანილია გაზი, დენი, კანალიზაცია, წყალი შეყვანილია. ფასი შეთანხმებით.
ტელ: 599 168 171; 598 51 81 35.

ყურადღება!

ქირავდება 120 კვ.მ. კომერციული ფართობი ხალხმრავალ ადგილზე, ნავთლუღის ბაზრის წინ, გარემონტებული, ამჟამად ფუნქციონირებს მიკროსაფინანსო ორგანიზაცია. საუკეთესოა საოფისედ და ნებისმიერი სახის კომერციული საქმიანობისთვის.
მისამართი: მოსკოვის გამზირი №1, ჩასახვევი — მეველის ქუჩაზე, კუთხის, მაღალჭერიანი სახლი.
ტელ: 599 370035, მანანა.

◎ ცინცხალი ანეკდოტები

— მაშ ასე, ჩემი ქალიშვილი ცოლობაზე დაგთანხმდათ. ქორწილის დღე დანიშნეთ?

— ამის გადაწყვეტის უფლებას პატარძალს ვაძლევ.

— ჯვარს დაიწერთ თუ სამოქალაქო წესით დაქორწინდებით?

— ამას დედამისი გადაწყვეტს.

— გაქვთ ცხოვრებისთვის საჭირო სახსრები?

— ამ საკითხზე ზრუნვას კი მთლიანად თქვენ გაკითრებთ, სერ.

* * *

მიხოს ტყუპისცალთაგან ერთ-ერთი უყვარს.

— როგორ განასხვავებ მათ ერთმანეთისგან?

— ძალიან იოლად! ჩემი გოგო აქტის დამთავრებისთანავე სიგარეტს აბოლებს...

* * *

— ადამიანის ინტელექტუალური განვითარების დონეს ადვილად დაადგენ მისი კითხვების მეშვეობით.

— რა?

* * *

— სამწუხაროდ, საერთოდ არ ვიცნობ სიძეს და ამიტომაც არ შემიძლია, მივულოცო პატარძალს, — ამბობს ქორწილში მეჯვარე. — მაგრამ მე ძალიან კარგად ვიცნობ პატარძალს, და ამიტომაც არ შემიძლია მივულოცო სიძეს...

◎ კადრი



ავტორთა საყურადღებოდ!
რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალები დაიბეჭდება ავტორთა ხარჯით. ავტორთა მოსაზრებები, შესაძლოა, მუდამ არ ემთხვეოდეს რედაქციის პოზიციას. ფაქტების სიზუსტეზე პასუხს აგებენ ავტორები.

საქართველოს რესპუბლიკა
SAKARTVELOS RESPUBLIKA
მაჩაბლის ქ. №7
ინდექსი 66434

გამომცემლები:
შპს „თანადგომა -1-გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკის“ გამომცემელი“
ტ: 599 79-76-79)
შპს „ახალი საუკუნე“
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში“
რკინიგზის ჩიხი №20

uac(უაკ)070.4(479.22)
ს-323
ISSN 2233-3851
9 772233 385001

მთავარი რედაქტორი
ალეკო ასლანიშვილი
293-37-87;
599 56-81-86

პასუხისმგებელი რედაქტორები:
გურამ გოგიაშვილი 599 53-76-16;
რუსლან რუსია 599 17-21-21;
სპარტაკ ძოგულია 599 36-00-35
პასუხისმგებელი მდივანი
მამუკა მაშაკიძე